



ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru



№382 (441) 11-18 ოქტომბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აკაკი შანიძე



ბორის დავითაია: ნარსული, რომელიც არ ივიწყება

...მიყვარხარ რომორც მზე უყვარს,
უსინათლოს და ყარობს,
არს აკაკი ვარ, არს ვაჟა,
არს მოსიქული ზევისის,
უბრალოდ სიკვდილს ვაპირებ,
სიკვდილს ვაპირებ შენთვის...

88.3



ვახლავ ვივაშვილი:
გაეროს გენერალური
ასამბლეის 71-ე სესია 88.2

„ბთხოვთ,
პრეზიდენტს
დადიკოს
დაბადების
დღემდე...“ —
ამბავი,
რომელმაც
ყველა
შეძრა

88.4



იგორ კეკელია:
ისპანახისგან
გურნითი არ
გამოვარ, ანუ...
ვინ არის
ელექსი
გაბისონია 88.4

აფხაზეთის
მონატრება:
„ჩემი შვილები
ერთმა
ქართველმა
მოკლა და არა
ქართველებმა,
შენ რა შუაში
ხარ?“


88.5



გიორგი შინდელიშვილი:
სახლში, რომელიც იძულებით
გამაყიდინეს, დღეს ირმა
ნადირაშვილი ცხოვრობს 88.6



ნოდარ ტაბიძე,
კაცია —
ქურნალისტიკის
უდიდესი
მოამბე 88.9



იერუსალიმში,
უიშვიათასი
2000 წლის
რომაული
მონეტა
აღმოაჩინეს 88.7

ბორის
დავითაიას
მოსაზრება —
სენაკში კირქვის
მოპოვებისა და
ცემენტის ქარხნის
მშენებლობის
შესახებ 88.10



70 წელი
გენაღად...
იხსობათ, ეს
თქვენზე
მზრუნველი
აღმოაჩინა 88.4

გაეროს გენერალური ასამბლეის ასაგზაურო 71-ე სესია



ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ ფილიალი „ჯებხატ ან-ნუსრა“ „ცუდი“, „ისლამური სახელმწიფო“ ცუდია, მაგრამ ზოგიერთი იქ მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაციები – „ქარგი“.

რუსეთმა რახანია ეს დაყოფა გააკეთა და ორივე ტერორისტული ორგანიზაცია აკრძალა თავის ქვეყანაში. აშშ-ც, რუსეთის ზეგავლენით ანალოგიური ნაბიჯი გადადგა, მაგრამ დანარჩენთან მიმართებაში ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია ანუ არ გამოუჩვენია „ქარგები“, „ცუდებისგან“.

გაეროს გენერალური ასამბლეის 71-ე სესია რომ სირიაში მიმდინარე ომით და ლტოლვილობით დაიწყო, სულაც არ არის გასაკვირი, მაგრამ გასაკვირია სირიის საკითხებში აქტიურად ჩართული ორი დიდი სახელმწიფოს ე.წ. პარტნიორების ძალზე სერიოზული დაპირისპირება.

რატომ არის საჭირო ასეთი დაყოფა? უპირველესად, იმიტომ, რომ ამოქმედდეს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ.

განვიხილოთ ერთმა წელმა დაგვანახა, რომ რუსეთის ავიაციის მიერ ტერორისტთა ტერიტორიების დაბომბვა მკაცრ კრიტიკას იწვევს ვაშინგტონში, რომელიც დაბეჯითებით აცხადებს, რომ რუსეთმა მშვიდობის პროცესის მომხრე ტერორისტები დაბომბა, სწორედ ისინი, ვინც „ისლამური სახელმწიფოს“ და ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან.

რუსეთი კატეგორიულად თხოვს, რომ აშშ-მ გაეყოს „ქარგი“ და „ცუდი“, მაგრამ ჯერ-ჯერობით უშედეგოდ. ჟენევის ბოლო რაუნდზე გადაწყდა ცეცხლის შეწყვეტა მუსლიმანთა ტრადიციული დღესასწაულის განმავლობაში. შეთანხმებამ, რის ვლინებად გახდა, თითზე ჩამოსათვლელი დევები გასტანა და ცეცხლი ისევ აღსდგა.

ცეცხლის შეწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქ ალეპოს მოსახლეობისთვის, გაეროს კუშიანი-ტარული ტვირთის მიწოდების თვალსაზრისით. ალეპო, ფაქტობრივად, მთლიანად დანგრეული, ის ქალაქია, სადაც ტერორისტები არიან გამაგრებული და ქალაქის მოსახლეობა მიქვლად ჰკავთ აევანილი. რახანია ომი ალეპოსთვის გრძელდება. სამთავრობო ჯარებმა შეძლეს ქალაქის მთელი ორი რაიონიდან ტერორისტთა განდევნა, ნაწილის ალყაში მოქცევა. გადაკეტეს ალეპოსკენ მიმავალი საავტომობილო გზა, რომელსაც ტერორისტები აკონტროლებდნენ.

ცეცხლის შეწყვეტა არაერთმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ გაიზიარა და ჩაბარდა სახელმწიფოს, მაგრამ „ჯებხატ ან-ნუსრას“ და „ისლამურ სახელმწიფოს“ ცეცხლი არ შეუწყვეტიათ. მათ დრო იხელთეს, გადააჯგუფეს საკუთარი ძალები, შეავსეს ახალი ფიჭვიანი ტყეები და განახორციელეს ფართომასშტაბიანი შეტევა სირიის არმიის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ერთობ მძიმე დღეში აღმოჩნდა და ლამის მოპოვებული პოზიციები დათმო.

რუსულ-სირიული მხარის ლოდინი, რომ ამერიკელები მიაწვდიდნენ „ცუდი“ და „ქარგი“ ტერორისტული ორგანიზაციების სიას, ამოღებულა. ფაქტი სახეზეა – აშშ-მა ვერ ან არ შეასრულეს ჟენევაში მიღწეული შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი. პირიქით, ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში ამერიკის ავიაციამ დაბომბა სირიის არმიის პოზიციები, რასაც 60-ზე მეტი ჯარისკაცის სიკვდილი მოჰყვა. ამერიკელებმა დასაწყისში იუარეს – ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ რუსული ვიდუო-კადრების გამოჩვენების შემდეგ, თქვენ, რომ შეეშალათ, რისი დაჯერება არცთუ იოლია.

და როდესაც დასავლური მედია ერთობ თავშეკავებულად აღნიშნავდა არასახურველი ფაქტის თაობაზე, უცებ მოხდა მეორე საკურო თავდასხმა – ამჯერად გაეროს კუშიანი-ტარული ტვირთის მატარებელ ავტოკოლონაზე. დაბომბვა 20 დაამიანის მსხვერპლი მოჰყვა და დასავლური მედიის ისეთი PR-ი, უარესს რომ რუსეთი ვერ წარმოიდგენდა.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა უმაღლესი რუსეთ-სირიას დაადო და დამნაშავეებად გამოაცხადა – სირიის ავიაციამ დაბომბა ავტოკოლონა, რაც ანა მარტო სირიის ხელისუფლებას ადანაშაულებს, არამედ რუსეთსაც, ვინაიდან სწორედ ის აკონტროლებს სირიის საკურო ოპერაციებს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უმაღლესად აშერიკელთა მტკიცება, შესაბამისი ფაქტებით. ანალოგიურად მოქცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვიც, რომელმაც ნიუ-იორკში, გაეროს 71-ე სესიის მსვლელობის ფარგლებში აღნიშნა, რომ რუსული ავიაცია იმ დღეს და იმ ზონაში (დაბომბვის) არ მოქმედებდა, ხოლო სირიის ავიაციას ღამის საათებში ოპერაციის განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნია. მან დაბეჯითებით განაცხადა, რომ დაბომბვა ტერორისტების არტილერიით განხორციელდა. ასეა თუ ისე, დაბომბვას აკონდა ადგილი, ორივე შემთხვევაში არის მსხვერპლი, მაგრამ არ ჩანს დამნაშავე.

გაეროს სესიის გახსნის დღეს ავტორული მორიგი ანტერუსული PR-ი საყოველთაო ანტერუსული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რაც უდავოდ უარყოფითად აისახება რუსეთის იმიჯზე. მიზანიც სწორედ ეს არის. გაეროს ტრიბუნლიდან პრეზიდენტ ობამას გამოხვლაშიც საზგასმით იყო ნახსენები რუსეთის რეჟიმისთვის პოლიტიკის თაობაზე და იმ აგრესიაზე, რასაც კრემლი მისი მეზობელი ქვეყნების მიმართ ახორციელებს. ობამამ მაგალითად უკრაინა მოიყვანა და თქვა, რომ უკრაინაში რაც მოხდა, უკრაინელი ხალხის სურვილი იყო და არა გარედან ჩარევის შედეგი, რის შესახებაც ბევრს ლაპარაკობენ, როგორც რუსეთში, ისე სხვაგან.

მწელია არ დაიჯერო აშშ-ს პრეზიდენტის ნათქვამი, მაგრამ თუკი ოდნავ გადაფურცლათ გუშინდელი ისტორიას და თვალს შეავლებთ თვით ამერიკელი პოლიტიკოსების, მითუმეტეს მაღალი თანამდებობის პირების ნათქვამს, უდავოდ ობამას საპირისპირო მოსახრება გაეჩინდებოთ. გახსოვთ, ალბათ, სახელმწიფო მედიის მოადგილე ნულანდის განცხადება – ჩვენ უკრაინის რევოლუციის მომზადებაში 5 მილიარდი დოლარი გავიღეთ. ისიც გემახსოვრებათ, რა აქტიურობით გამოიჩნდნენ უკრაინაში აშშ-ს საელჩოს დიპლომატები, ამერიკელი სენატორები, მაგალითად მაკკეინი, სახელმწიფო დეპარტამენტული ნულანდი და სხვები. მემორანდუმის ფუნთუშების ჩამორიგების ვიდუო-კადრებიც გემახსოვრებათ და სხვა მრავალიც. და ამ დროს პრეზიდენტ ობამას განცხადება – უკრაინის „რეოლუცია“ გარედან ჩარევის არ მოჰყოლიაო.

ამერიკა არის ისეთი, როგორც არის ანუ საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაპრალბელი, რაც ყველამ კარგად იცის, მაგრამ ვეროპაც ისე იქცევა, როგორც ვაშინგტონს სურს. გაეროში სიტყვით გამოხვლის დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა სირიაში განვითარებული ტრაგედია სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს აკიდა და მასთან ერთად იმას, ვინც ასადს უჭერს მხარს.

ოლანდს რუსეთი არ უსხენებია, მაგრამ ყველა მიხვდა – ვის მიმართაც იყო ნათქვამი. არის თუ არა ოლანდი მარტო? ცხადია, არა, ვინაიდან სირიის პრობლემა 2011 წლიდან წარმოიშვა სწორედ დასავლეთის გაუმაძღრობის შედეგად. სირია „არაბული გაზფხულის“ იმ ჯაჭვში შედის, რომელმაც რევოლუციური ტალღა გამოიწვია ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიაში, ომი ერაყში.

ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ახლო აღმოსავლეთი ყოველთვის იზიდავდა აშშ-ს და მის პარტნიორ ევროპულ სახელმწიფოებს. ბრძოლა ნავთობისა და გაზისთვის იყო, არის და იქნება დასავლეთის ქვეყნების უმთავრესი პრიორიტეტი, ვიდრე გაზსა და ნავთობს სერიოზული კონკურენტი არ გამოჩნდებოდა. მზის და ქარის ენერჯია, ისევე, როგორც ფიქალური ან ციტრუსული წარმოშობის საწვავი ჯერ-ჯერობით სერიოზულ კონკურენციას ვერ უწყებს გაზსა და ნავთობს.

უახლოეს მომავალში ვითარება არ შეიცვლება ისე, როგორც დასავლური პოლიტიკა. ბაშარ ასადი იყო და არის ის

პოლიტიკოსი, რომელიც წინ აღუდგა დასავლეთს და პასუხად მიიღო ტერორისტული ომი, წახალისებული სწორედ „დემოკრატიული“ დასავლეთიდან.

2011 წლიდან დაიწყო სირიაზე შეტევა. ქვეყანა უზარმაზარ ნანგრევებად იქცა. მილიონობით ლტოლვილმა მეზობელ თურქეთს, სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი. ომის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. შეგადაშო მიმკრძალ გამონათებას მაინც აქვს ადგილი – ჟენევის მოლაპარაკების მსგავსად, მაგრამ ეს მშუტავი იმედის უცბათ ქრება. ისე, როგორც ჟენევის ბოლო მოლაპარაკება ჩაქრა.

ნიუ-იორკში ამ მშუტავ სინათლეს თითქოს სულს უბერავენ და ცდილობენ მის გაღვივებას. შეძლებენ თუ არა, მწელი სათქმელია, ვინაიდან იმ სულის ბერვასაც ძალა სჭირდება – სიმართლის ძალა, რაც დასავლეთს არ გააჩნია.

როდესაც ყოვლისშემძლე ამერიკა ერთი წლის განმავლობაში ვერ დაადგენს, ვინ არის „ქარგი“ და „ცუდი“ ტერორიტი, რა მოლაპარაკებაზე დააპარაკი?! მოლაპარაკება ფიცია და დროის გაყვანა – ასე თვლიან ექსპერტები.

ობამას ადმინისტრაცია იანვარში დაამთავრებს თავის მოღვაწეობას. იქნება ახალი პრეზიდენტი და ახალი ადმინისტრაცია, ახალი პოლიტიკა. ობამას დრო გაჰყავს და ცდილობს მთლად შერცხვენილმა არ დასტოვოს თეთრი სახლი. ობამას 8-წლიანი მოღვაწეობა თავდება. თუ რით იყო გამოჩნული მისი პრეზიდენტობა, ამ სტატის თემა არ არის. მას მომავალში განვიხილავთ, მანამდე კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ობამას პრეზიდენტობამ ამერიკას და მსოფლიოს მისცა ის, რაც ყველა მისმა წინამორბედმა – ნეგატიური ან უფრო ნეგატიური.

ობამამ მოახერხა, რუსეთთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესებით, მსოფლიო ვითარების უდამწვევით დააბევა, რითაც ნოიყერი ნიადაგი შეუქმნა პილარი კლინტონს, თუკი ის გაიმარჯვებს არჩევნებში. კლინტონს აღარ დასჭირდება ანტერუსული ნიადაგის შექმნა. ის ობამამ შექმნა, მანამდე – ობამას წინამორბედმა. კლინტონი აღნიშნულ ნეგატივის თავისას დაუმტებს და მსოფლიო გაათკეცულ დაბაბულობას მიიღებს. რაც შეეხება ტრამპს, მისი გაპრეზიდენტება ახალი სიტყვა იქნება ამერიკის პოლიტიკაში. უნდათ კი ასეთი რამ აშშ-ს პოლიტიკურ ელიტას? ვკვირდებო.

ობამას პრეზიდენტობამ დიდი თავსატეხი გაუჩინა ახლო აღმოსავლეთს და მსოფლიოს, განსაკუთრებით, ლტოლვილების სახით. ხანგრძლივ საომარ მოქმედებას, გამოწვეულს დასავლეთის პოლიტიკით, ახლავს კონფლიქტში ჩართული ქვეყნების მოსახლეობის მკვეთრი მიგრაცია. მათი უმრავლესობა ევროპისკენაა დაძრული – ზოგი ნავით, ზოგიც ფეხით, სახიფათო გზით და შესაბამისი მსხვერპლით. მარტო მიმდინარე წელს 7.000 ლტოლვილი მიიბარა სმელთაშუა ზღვამ.

ლტოლვილობამ სერიოზული განხეთქილება გამოიწვია ევროკავშირის ქვეყნებში, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა თვით ამ კავშირის სტაბილურობა და არსებობა.

ყოველივე აღნიშნული, ცხადია, მარტო ერთი ობამას პოლიტიკის შედეგი არ არის. ის მთელი დასავლეთის მზაკერული პოლიტიკის შედეგია. რას გამოიწვევს ასეთი პოლიტიკა? რა შედეგს მოიტანს, გულთმისნობა, დიდი წინასწარმეტყველება არ სჭირდება.

მსოფლიო პოლიტიკას – დაპირისპირებისკენ მიმართულს და აგრესიულს, შეცვლა სჭირდება. შეცვლას, შემცვლელი, უფრო სწორად შემცვლელი, რომელთა დეფიციტი აშკარაა. მათ გარეშე კი ახალი პოლიტიკის წარმოშობა შეუძლებელია. უნდა ვიმედოვნოთ, რომ სალი აზრი თავისას გააკეთებს და ძალადობაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ვითარებას ტრანსფორმაციისკენ უბიძგებს.

ჰამლუტ ჰიპოშილი, პოლიტოლოგი



ნარსული, როელი არ ივიწყება



9 სექტემბერს, სენაკის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ რაიონის საზოგადოება, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები. ამის მიზეზი გახდა წიგნის „სენაკის მატინის“ პრეზენტაცია, რომელიც წარმოადგინეს მისმა ავტორებმა: მწერალმა, ბორის დავითაიამ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ბადრი ბარკალაიამ.

ითქვა, რომ 700-გვერდიანი წიგნი სენაკის წარსულზე პირველად ისტამბება. ერთი პატარა ქალაქის წარსულზე საარქივო მასალებისა და მოგონებების თავმოყრა არ არის დიდი სასწაული, მაგრამ სენაკმა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში განიცადა ყველა ის კატაკლიზმები (პოლიტიკური თუ ეკონომიკური) რაც საქართველოში დაეწივნება რომ არ მისცემოდა წარსული, შეეცადნენ გაეცოცხლებინათ ქალაქის დაარსების, განვითარებისა და შემდგომი წინსვლის ეპიზოდები, რომელიც განვლო მან. მოგონეს ის ადამიანები, რომელთა გარჯახზე და თავდაუზოგავ სიყვარულზე დგას

ქალაქი. არ არსებობს მომავალი წარსულის გარეშე. არ არსებობს წარმატება წინამორბედთა ნიჭისა და გამოცდილების გაზიარების გარეშე.

მოკლედ აღნიშნეს, თუ როდის ჩაეყარა საფუძველი სენაკის დასახლებას, რომ იგი ორსაუკუნოვანი ქალაქია, თუმცა აქვს ფრიად საინტერესო წარსული და ამის დასტურად მოიყვანეს არაერთი მაგალითი. ისაუბრეს მოვლენებზე, რაც სენაკს განუცდია და გადახდომია, იმ ადამიანებზე, რომლებიც დაიბადნენ აქ და თავიანთი ნიჭითა და თავდადებათ ასახელებს საქართველო და მშობლიური ქალაქი. წიგნში გამოყენებულია ათას ოთხი ფოტოსურათი. განსახილველი დარგები დააღაგეს ენციკლოპედიის პრინციპით, თუმცა საარქივო მასალის მრავალფეროვნებისა და სიუხვის გამო წიგნს ეწოდა „მატინე“.

წიგნის რედაქტორები არიან: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი ბატონ რუსლან რუსია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი როზა გაბუნია. გამოცემის კონსულტანტია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი შალვა ნაჭყებია. კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის დათო ლომიას, წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა გამოცემლობა „ვერონიკა“.

ავტორებმა კომპაქტური მასალა მიაწოდეს მკითხველს კოლხეთის, ვერისისა და სამეგრელოს წარსულზე, ჩათვალეს, რომ მათი ვალი იყო გაეცოცხლებინათ შორეული წინაპრები და, როგორც შვილთა ვალია, მადლიერებით დაეფასებინათ ისინი, ვინც თაობათა მემკვიდრეობაში აღიბეჭდნენ და უკვდავებაში გარდაიხსნენ.

წიგნის ავტორებმა სიამაყით აღნიშნეს, რომ სენაკელებთან ასწლეულების განმავლობაში მეგობრულად ცხოვრობენ ებრაელები და აისორები, იგივე (ასირიელები) მოიყვანეს მაგალითები მოსახლეობასთან მათი ურთიერთობისა. ცალკე თავი დაუთმეს აფხაზეთიდან ადგილმაცვალ ადამიანებს. ასევე აღნიშნეს,

რომ სენაკი წარმოუდგენელია მდინარე ტეხურის გარეშე. ამიტომ, მატინეში უცვლელად დაბეჭდეს ქალბატონ ლუარა ჯიქიას საინტერესო წარმოსახვა – „ტეხორი ოხვარადაია“.

რადგან წლები გადის, იმისთვის, რომ მომავალი თაობისთვის მიეწოდებინათ ცნობები დღევანდელობაზე, წიგნში მოათავსეს ცნობები საჯარო და კერძო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, ასევე იმ სამკურნალო დაწესებულებების, ბანკების, რესტორნებისა და მოქმედი საწარმოების შესახებ, ფოტოსურათებით და მოკლე ანოტაციით, რომლებიც დღეს ფუნქციონირებენ და ამშვენებენ ქალაქს.

მადლობა მოახსენეს ყველას, ვინც ავტორებს ხელი შეუწყო „მატინის“ შექმნაში – აბაშის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ პაატა ქურდოვანიძეს, ჟურნალისტ რევაზ გრიგოლაშვილს, ტარიელ დავუბაძეს, ანზორ ცაგურას, ქალ-ზაირა ფანულიას, მედიკო წირღვაკას, არქიტექტორ ვენე არჩაიას ოჯახს, მის ქალიშვილს, რაიონული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უნიკალური ფოტო-სურათებისა და საინტერესო მოგონებების მოწოდებისთვის.

შეხვედრის წამყვანმა ბორის დავითაიამ ბრძანა, რომ შეკრებილი საზოგადოებისა და წიგნის ავტორთა სიყვარულს საკუთარი ქალაქისადმი კარგად გამოხატავს პოეტ ვენო კალანდიას ლექსი:

“მეყვარხარ როგორც მზე ყვეარს, უსინათლოს და ყარობს, არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევისს, უბრალოდ სიკვდილს ვაპირებ, სიკვდილს ვაპირებ შენთვის“

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და დადებითი აზრი გამოთქვეს სენაკის მკვიდრმა, აბაშის საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ქურდოვანიძემ, სკოლა „პელაგონის“ პედაგოგმა ნინო ფრანგიშვილმა, ისტორიკოსმა ივორ ბოჯგუამ. ასევე, საკუთარი მოსახრებები გამოთქვეს გაზეთ „მრწამის“ რედაქტორმა,

პოეტმა ლანდა მასხულოამ, რამდენიმე წიგნის ავტორმა მერი ვეკსალიამ, „ღირსების“ ორდენის კავალერმა რაქვენ ფონხუამ.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ დაარსდეს სენაკის დღე – „სენაკობა“. რადგან „აგროსობა“ ტარდება ოქტომბრის თვეში, „სენაკობა“ მოეწეოს მაისში. პოროსკოპის მიხედვით მაისის ნიშნია სკოლა, თუ ავიღებთ კოლხურ თეთრს, მასზე ეხატა ხარის თავი, როგორც სიძლიერის ნიშანი. ეს რაღაც მსგავსებას ნიშნავს, ამასთან, მაისი მომდინარეობს რომაული მიწის დმერთის, მაიას სახელწოდებიდან და მისადმი დღესასწაული მუდამ გახაფხულზე იმართებოდა. სახალხო ზეიმი „სენაკობა“ უნდა იყოს თეატრალიზებული, მასში, ქალაქთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის მოსახლეობამ. სოხოვეს მუნიციპალიტეტის რაიონულ გამგეობისა და საკრებულოს მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას.

წიგნის პრეზენტაციის მსვლელობისას ისმოდა სასიამოვნო ქართული და მეგრული სიმღერები. შეკრებაზე მონაწილეობდნენ ბენდი „ცესკური“, ანსამბლი „სენაკი“ და სალომე ბერიშვილი. ოვაცია დაიმსახურა ახალგაზრდა პიანისტმა, სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტმა, საქართველოსა და არაერთი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა გიორგი საჯაიამ და ნათია შურდუღიაიასა და რუსუდან მიღუტინის ლექტმა.

გაუფრდა სასიამოვნო ფაქტი, რომ წიგნის ერთერთ ავტორს ბატონ ბადრი ბარკალაიას იმ დღეს შეუხრულდა დაბადებიდან სამოცდათი წელი. მშობლიურმა სენაკმა გულმხურვალედ მოულოცა მას იუბილე და დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები უსურვა. ხოლო ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა იგი აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად, რისთვისაც გადასცეს შესაბამისი ადრესი და დიპლომი.

ნიკო შრანგიშვილი

ეს ჩვენი ისტორიაა პაული პაულის ხიდან შორს არ უსვამა...

მეოცე საუკუნის დასაწყისში ოჩამჩირეში საკმაოდ დიდი სახლგაო პორტი ფუნქციონირებდა, რომელიც ათათა-სობით ტონა ტვირთს ამუშავებდა. ამიტომ, ოჩამჩირეში რუსეთის იმპერიის სახლგაო ხანაოსნოს სოლიდური წარმომადგენლობა ფუნქციონირებდა, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ ივანე ანტონის ძე კიცინსკი. მას, ამავე დროს, ოჩამჩირეში გააჩნდა საკუთარი აფთიაქი, სადაც ფარმაცევტის მოწაფედ მსახურობდა 15 წლის ყმაწვილი – პლატონ ლეონტის ძე ბასილაია.

მოგვიანებით პლატონ ბასილაია იხსენებდა ერთ ფრიად საინტერესო ამბავს, რომლის მოწმეც თავად გახლდათ.

ივანე ანტონის ძე კიცინსკი რუსეთის იმპერიაში ცნობილი გახლდათ როგორც უაღრესად პატიოსანი, პრინციპული და მიუკერძოებელი პიროვნება, ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მას ხშირად მიმართავდნენ საკონსულტაციოდ მაშინდელი სერიოზული კომპანიები თუ ნეგოციანტები. ერთ მშვენიერ დღეს, ვეროპის რომელიღაც მსხვილი კომპანიიდან კიცინსკის სახლზე შემდეგი შინაარსის დეკლამაცია მოვიდა: **“გთხოვთ გვიპასუხოთ, შეიძლება თუ არა ვანდოთ მანუფაქტურის დიდი პარტია, ოჩამჩირის მკვიდრს, ბატონ ესტატე ჭაჭიას”**.

ივანე კიცინსკი პირადად არ იცნობდა ესტატე ჭაჭიას, მაგრამ კარგად იყო გარკვეული საზოგადოებრივ აზრში, რომელიც მართლაც უნიკალურად დადებით და საიმედო პიროვნებად წარ-

ეს ჩვენი ისტორიაა ერთი ლიტერატურული ფსევდონიმის ბაზრებისათვის

მოაჩენდა ამ ადამიანს. გარდა ამისა, კიცინსკიმ გამოკითხა ოჩამჩირის რამდენიმე ავტორიტეტული პიროვნება, რომელთაც ესტატე ჭაჭია დაახასიათეს როგორც უაღრესად კეთილსინდისიერი და სანდო პიროვნება, რომელიც არასოდეს ყოფილა შემწეული სიტყვის გატეხვასა და არაკორექტულ დამოკიდებულებაში საქმის, პარტნიორებისა თუ საზოგადოებისადმი.

ამდენად, გასაგებია, რომ კიცინსკიმ დადებითი პასუხი გაუზავნა დაინტერესებულ კომპანიას, რომელიც ერთი სიტყვისაგან შედგებოდა: **“შეიძლება”**.

რამდენიმე კვირის შემდეგ კი ოჩამჩირის პორტში, ესტატე ჭაჭიას სახლზე, ჩამოდგა ძვირფასი მანუფაქტურით დატვირთული სამი დიდი გემი.

აი, როგორი მაღალი იყო მაშინ ადამიანების ურთიერთნდობა!

რაც შეეხება სულგანათლებულ ესტატე ჭაჭიას, იგი გახლდათ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** თავმჯდომარის, საქვეყნოდ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის, პოლიტოლოგიის დოქტორის, სამშობლოსადმი სიყვარულით, წესიერებითა და პრინციპულობით გამორჩეული ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ბაბუა.

ჭკუშმარტად ბრძნული თქმა: **“ვაშლი, ვაშლის ხიდან შორს არ ეცემა”!**

მასალა მომწოდდა ჩემმა მეგობარმა, მხატვარმა, შესანიშნავმა პიროვნებამ, აფხაზეთიდან დეენილმა ოჩამჩირის მკვიდრმა **შეილთს შაპანიამ**, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ მას!

როლანდ ჯალაღანია

ერთი ლიტერატურული ფსევდონიმის ბაზრებისათვის



რამდენიმე დღის წინ შესრულდა 100 წელი სახელგანთქმული ქართველი ენათმეცნიერის პროფ. მიხეილ ალაგოძის დაბადებიდან. მისი მრავალმხრივი შემოქმედებიდან დღეს გამოვიყოფთ **„ლიტერატურულ ფსევდონიმებს“**, რომელიც ბ-ნმა მიხეილმა 1969 წლის 16 ივლისს გაზეთ **„ქუთაისში“** გამოაქვეყნა. ამ სტატიაში მეცნიერულ დონეზეა ახსნილი პოეტების, მწერლების, პედაგოგების, ლიტერატურათმცოდნეების, პროზაიკოსების, ჟურნალისტ-კრიტიკოსების, იუმორისტების, დრამატურგებისა და სხვათა ფსევ-

ერთი ლიტერატურული ფსევდონიმის ბაზრებისათვის

დონიმები. აქვეა განმარტებული დავით სიმონის ძე გვილაგას, იგივე დორგანელის – მუშა პოეტისა და ჟურნალისტის ფსევდონიმი.

პროფესორი მიხეილ ალაგოძე ფსევდონიმში **„დორგანელი“** საკუთარი სახელისა და გვარის პირველ ასოთა (დონ, გან) შერწყმას ვარაუდობს. უნდა იყოს დორგანელი, მაგრამ დისიმილაცია დასტურდებოდა, – წერს მეცნიერი.

მუშა-პოეტი დავით სიმონის ძე გვილაგა მარტვილის რაიონის სოფელ ქვათში ცხოვრობდა და საერთოდ გვილაგები ცხოვრობდნენ ამ სოფელში იმ მთის ძირში, რომელსაც ერქვა **„დორგანე“**. ჩვენი მოსაზრებით, დავით გვილაგამ ამ მთის სახელწოდება გაიხადა ფსევდონიმად. ასეთი არაერთი შემთხვევა დაფიქსირებულა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მაგალითად: სავანე – სავანელი, ბზვანი – ბზვანელი, ბარი – ბარველი, მესხეთი – მესხეთელი, ჭალადილი – ჭალადიელი და სხვა.

პოეტმა დავით გვილაგამ ამ მთის სახელწოდება აირჩია ფსევდონიმად და აქ ფონეტიკური ფაქტორის გამოყენება და გვარსახელის პირველი ასოების შერწყმით ფსევდონიმის მიღება არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

ნიკოლა რუსაძე, ილორი კეკელია

ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვაო, ანუ... ვინ არის ალაქსი გაბისონია

გაგრძელება წინა ნომრიდან
დასაწყისი იხ. გვ. „ილორო“, №370, 372, 374, 376, 377, 378, 380
ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი.
ჯერ იყო, რათანცა ანუ გრილი იყავ.
ანუ ტფილი“
გამოცხადება წმ. მახარებლისა იოვანესი - 3, 15

დარჩენილ ადამიანზე ნათქვამი – ბრევს თავზე აფსამდნენ და ის კი ამბობდა – ქუქუნა წვიმა მოდისო!..
ახლა ჩავეჭყიტოთ სახელმწიფო აუდიტის მიერ საკრებულოს მუშაობასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაში: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის

მიხედვით გაწეულია საწვავისა და კომუნიკაციის ხარჯი. ხარჯების ზღვრული ოდენობა თვეში განისაზღვრა 380 ლარით. საკრებულოს არაანაზღაურებელ წევრებზე თანხები გაიცემოდა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობისათვის. 2015 წლის 15 მარტიდან 1 იანვრამდე გაცემულია 67, 9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, თანხები გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, რომლის შედგენის საფუძველია აპარატის უფროსის მოხსენებით ბარათი საკრებულოს წევრების საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ; არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

ბურღოში სულგახვეულ თუ სულად მიწურულ, სულიერად და ზნეობრივად ტანჯულ ალექსი გაბისონიას საკრებულოს ბიუჯეტი დუმა პკონია. ფიქრობს, რომ ბიუჯეტს შეიძლება ჩამორჩე, შეიძლება გაძარცვოს... მართალია, საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევაზე წვენი რისხვის მსხვერპლი, ნამუსზე ხელდაღებული ეს ადამიანი მჭადში ნახსირს ვერ გამოარჩევდა, თუმცა სიმართლეს, პატიოსნებას აცდენილი, ხელმოცარული სახელმწიფო მოხელე ისე გამოიჯაგა, ორშაბათის ყინივით ისე გაყვეყნდა, რომ... ნუ გაიგონებ, ყურო, და ნუ გამოიტყვი, ენავ... მორწმუნის სტატუსით კაბინეტში შემოხეტებული, ისეთი ავაზაკი და მძარცველ-მტაცებელი გახდა, რომ კალმით მხოლოდ ნაწილობრივ თუა შესაძლებელი მისი უკეთური საქციელ-საქმეების აღწერა-გაღმორცხვა.

სხვა რა გზა გვაქვს, იძულებული ვართ, ობტში ამოვიდეთ, ნიღაბი ავხადოთ და ნაბუარი ავადინოთ ამ ნახტომშეშლილ, ხელმოცარულ, გაუტანელ და მუხანათ პურსონას... შევეცადოთ, საჯდომზე დავეცოთ და მწარე ნიორი დავანაყვინოთ ამ ნეხვში ვარდით ამოსულ, ოსპის შეჭამადს დახარბებულ ადამიანს...

საზოგადოებამ მინდა იცოდეს, რომ

ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სოციალური პროგრამები. დახმარებების გაცემა რეგულირდება საკრებულოს მიერ დადგენილი სოციალური დახმარებების გაცემის წესით, რომლითაც განსაზღვრულია სოციალური პროგრამები და კრიტერიუმები. ერთ-ერთი პროგრამა ითვალისწინებდა ხანძრით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. კრიტერიუმის მიხედვით დახმარება უნდა გაცემულიყო იმ ბენეფიციარებზე, რომელთაც სტიქიის შედეგად აღარ ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, ან იგი საშიში იყო საცხოვრებლად.

გამოვლენილი გარემოება ასეთია: მუნიციპალიტეტის მიერ ამ პერიოდში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით სოციალური პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 112,6 ათასი ლარი, აქედან ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამაზე 2014 წელს გაცემულია 116, 9 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს 133, 5 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში გამოვლინდა ნაკლოვანებები. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს 7 შემთხვევაში დახმარებები გაცემულია ისეთ ბენეფიციარებზე, რომელთაც დაუზიანდათ ან/და დაწვეთა დამხმარე ნაგებობები. ერთ შემთხვევაში დახმარება გაცემულია ისეთ ბენეფიციარზე, რომელსაც დაეწვა ავტომობილი. სულ კრიტერიუმის დარღვევით გაცემულმა თანხამ 2,3 ათასი ლარი შეადგინა.

ასეთია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების – გიორგი ჩახვადის, ლია გუჯაბიძის, ბარამ ონიანის, პაატა კუბლაშვილისა და ზურაბ ტუსკაძის მიერ მომზადებული ანგარიშის მონაცემები „ქართული ოცნების“ მაკინინგულ და თანამდებობისთვის უღირს-შეუფერებელ, ამ გაგრია და მწყვერიფრენია საკრებულოს თავმჯდომარეზე...

ილორო კვლევა



მინახავს ადამიანი, ვინც სინდისის ქნჯნას შეუწუხებია და დასანანი საქციელის ჩამდენს დანანებით უთქვამს – ნეტავი პრასი მეჭამა და ეს არ მექნაო!.. მაგრამ ამას როდი იტყობა ალექსი გაბისონია. სადა აქვს ამ ორჯერ მოკლულ კაცს სინანულის გრძობა. ღირსებას გარიდებულ ამ საბრალო არსებას განა სინდისის ქნჯნა აწუხებს... მართალია, არაერთი უღირსი საქციელის ჩამდენს ნიღაბი არაერთგზის ავხადეთ, საზოგადოებას მისი ნამდვილი, მძარცველურ-მტაცებელი სახე დავანახეთ, მაგრამ მერე რაა!.. როგორ ფიქრობთ, განა გაწითლდება კაცი, რომელსაც ძალუძს, ჩახველებული ოსტატურად შეიმშრალოს!.. სწორედ გაბისონიას მსგავს, უარაფროდ

უფლებამოსილებას განახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, ამომრჩევლებთან შეხვედრების, საკრებულოს სხდომებისა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის გაწეული ხარჯები.

საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილებით საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ ხელფასს, დამტკიცდა საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი; კერძოდ, საკრებულოს წევრებზე 2014 წელს და 2015 წლის სამ თვეში დამტკიცებული ლიმიტების

აი, რა უნდა იყოს ჩვენი საზრუნავი!

„ბთხოვთ, ვისოსხლავ დალიკოს დახადების ღლედე...“ – აბაპი, რომელმაც ყველა შეიქრა



ალბს, ამდენი წელია მდმუშაკია და მსგავს სცენებს ვერაფრით ეჩვევა. არცაა გასაკვირი, ის ადამიანია, ადამიანი კი ამას ვერასდროს შეეჩვევა.

– რას ამბობ, ჩემო პატარა, რას ჰქვია მოკვდები, რა დროს შენი სიკვდილია, – ამშვიდებს ის ბიჭუნას და თვალები ცრემლებით ევსება.

– დეიდა, იცი რაშია საქმე? შაბათს დელიკოს დაბადების დედა, ეს საჩუქარი მე თვითონ გაგაკეთე, არავინ დამხმარებია, ძალიან მინდა, გავახარო და დაბადების დღე მოვულოცო, ამიტომაც მინდა, რომ შაბათამდე არ მოკვდეთ თუ მოკვდები, საჩუქარს ვვლარ ვაჩუქებ, გეხვეწები, შეიძლება, არ მოკვდები, რა?

ონკოლოგია. ნათელი პალატა მათთვის, ვინც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არსებული ზღვარი გადალახა. ეს ბავშვები კი, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხლებით გამოიყურებიან, შეიძლება ითქვას, რომ უკვე მკვდრები არიან. აქ ყველას სიცოცხლის რამდენიმე დღე აქვს დარჩენილი, რამდენიმე კვირა ან, უკეთეს შემთხვევაში, – ერთი თვე. არავინ გაბელოს და თქვას, რომ ცხოვრებაში ამაზე საშინელი რამ აქვს ნანახი.

ამ ბავშვს არაფერი უნდა, მას ვერაფერი უშველის, მისი ერთადერთი სურვილი დედის დაბადების დღემდე მიღწევაა. ის მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს, უნდა, დელიკოს საკუთარი ხელით გაკეთებული საჩუქარი აჩუქოს, უბრალო, მუყაოსგან გაკეთებული, მაგრამ ეს საჩუქარი მისი საყვარელი დელიკოსთვის ყველაზე ძვირფას ნივთად

იტყვევა მის ცხოვრებაში. დემეტო, უშველე დედამისს!

დაეხმარე, როგორმე გადაიტანოს ეს სიმწარე, დაეხმარე, რომ ჭკუიდან არ შეიშალოს!

ჩვენ კი გვაქვს აიფონები, რომელიც უფრო მაგარია ახლა, 6 თუ 7? ჰო, შეიდი ბოლო მოდელია, ძალიან მაგარია და ორი ათას დოლარამდე ღირს. გვაქვს ოქროს უნიტახები, მაცივარში ჩაშენებული MP3 ფლეიერები. კოსმოსში მეცნიერები კი არა, უკვე ტურისტები დაფრინავენ და მალე ალბათ მარსზეც მოხვებიან – ბილეთი ხომ სულ 200 ათასი დოლარი ღირს. აღარ იციან, რა მოიგონონ – სილამაზის ინსტიტუტები, ნაოჭების საწინააღმდეგო მეცნიერებებიც კი იქმნება. 21-ე საუკუნეა, ხალხო, ჩვენ კი შიდასი და კიბო ვერ დავკვირვებთ და განა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არა, იმიტომ, რომ არ გვინდა.

მეცნიერები იმაზე ფიქრობენ, როგორ ჭამონ ადამიანებმა ისე უზომოდ, რომ არ გასუქდნენ, აი, ამაში იხარჯება დღეს დრო და ფული.

ყოველი ჩვენგანი ოცნებობს ბევრ ფულზე, ახალ ტელეფონზე, ლამაზ სხეულზე, სიმსივნით დაავადებული ადამიანი კი მხოლოდ ერთ რამეზე, კიბოს დამარცხებაზე ოცნებობს...

ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ნაცნობების 97% ამ წერილს არ გააზიარებს საკუთარ გვერდზე, თუმცა 3 % ამას გააკეთებს, გააკეთებს იმ ადამიანების გულისთვის, ვინც კიბოს ებრძვის, ვინც ღირსეულად იბრძოდა, მაგრამ დაიდუპა კიბოსთან ჭიდილში. გააზიარებს იმისთვის, რომ გვერდში დაუდგეს სიმსივნესთან მებრძოდ ყველა ადამიანს“.

იცნობდეთ, ეს თქვენზე მზრუნველი ადამიანია 70 წელი მეწაღედ...

ზუგდიდელი ნოდარ დარასელია 70 წელია მეწაღედ მუშაობს. ხელობა ბავშვობაში, მამისგან ისწავლა. ფეხსაცმელების შეკეთებასთან ერთად არაერთი შეუკერავს. ამბობს, რომ სახელოსნოს ყოველდღიურად ათობით ადამიანი აკითხავს.

„მეწაღე უნდა იყოს თავაზიანი. თუ მას (მომხმარებელს) კარგად არ მოუსმენ, ვერ შეკერავ ისეთს, როგორც მას უნდა“, – უთხრა საინფორმაციო სააგენტო „ლაიფსტაილს“ მეწაღემ.

85 წლის ნოდარ დარასელია სახელოსნოს გაფართოებას და მეწაღეების დასაქმებას გეგმავს. ამბობს, რომ ჰყავს მომხმარებლები, რომლებიც წლებია მხოლოდ მის შეკერილ ფეხსაცმელს იცვამენ.

„თუ კარგად შეუკერავ და არ მოატყუებ, ის ყოველთვის მოვა შენთან. მარტო იმაში არაა საქმე, რომ ფული აიღო, მიფარია გულწრფელად მოქცევა კლიენტს, გაუკეთო კარგი, კმაყოფილი რომ იყოს და მეორეჯერ სხვასთან არ მივა. მე ეს საქმე მიყვარს და მირჩენია ყველაფერს და ამიტომ ვარ გადარტივებული ამ მუშაობით“, – გვითხრა ნოდარმა.

ზუგდიდში ყველაზე ასაკოვანმა მეწაღემ ხელობა ბევრს ასწავლა. მისი სურვილია ეს საქმე კიდევ ბევრს ასწავლოს. დამწეები მეწაღეებისთვის კი ერთი რჩევა აქვს – „კერვის დროს იფიქრონ მხოლოდ ხარისხზე“.

ბჰანცა ტიმიტიია



„აიფონი შვიდი და სხვა დანარჩენი“

– დეიდა, თუ შეიძლება, არ მოკვდები, რა! ხომ არ მოკვდები? – მელორტი ბიჭი, რომელსაც სახეზე მწვანე ფერი დასდებია, საწოლზე წევს. ფანტომასს წააგავს ფრანგული კომედიიდან, თუმცა ეს კომედია როდია. ეს ტრაგედიაა და ეს რეალობაა. ბიჭუნას ყოველ დანახვაზე 60 წელს გადაცილებულ ხანიტარს ტანში აჟრი-

მაგნოლიები აგებენ ჰყვებიან

– ბაბუ, მითხარი, მე ხომ თბილისელი ვარ?
 – შენ თბილისში დაიბადე.
 – შენ სად დაიბადე?
 – მე... სოხუმში.
 – დედოკო და მამიკოც?
 – კი, დედოკო და მამიკოც.
 – სოხუმი სად არის, ბაბუ?
 – დედამიწაზე უამრავი ქალაქია, ძალიან ბევრი ქალაქი... მათ შორის არის ერთი პატარა ქალაქი, იმას სოხუმი ჰქვია და იგი ჩვენი ქალაქია.
 – მართლა ჩვენია?
 – ჰო.
 – რატომ არის ჩვენი?
 – იმიტომ, რომ... ჩვენ იქ დიდი სახლი გვაქვს, ჩვენი სახლი.
 – მეტი კიდევ რა გვაქვს?
 – კონცა ეზო, ცივი წყარო და რკინის ჭიშკარი.
 – ვერაინ რომ ვერ შემოვა, ისეთი?
 – სტუმარი შემოვა, ბაბუ, ჭიშკარს გააღებს და შემოვა.
 – ქურდი არ შემოვა?
 – ქურდი არა, ვერ გაბედავს.
 – რატომ, დიდი ძაღლიც გყავს?
 – კი, დიდი ძაღლი გყავს, ქურდს არ შემოუშვებს.
 – ე, ჩვენს ძაღლს რა ჰქვია?
 – რა ჰქვია და ჯეკა.
 – ჯეკა? ბაბუ, იცი, მე ძალიან მინდა მყავდეს ლეკვი, ვეძებდი ისე მიყვარს. – კიდევ რა არის სოხუმში, ბაბუ? აუ, მიდი რა, მითხარი!
 – ცა არის, ბაბუ, იმოდენა, საითაც არ გაიხედავ, ცქერით ვეღარ გაძღები. ზღვა არის ვეებერთელა, ღრმა და საოცარი. ზაფხული იცის ისეთი, გულს რომ სინარულით აგივსებს. ბევრი, ბევრი ადამიანი ჩამოდის ჩვენთან ზაფხულობით.

– რატომ?
 – სოხუმი ზღვისპირა ქალაქია და ადამიანები იქ დასასვენებლად ჩადიან.
 – ზღვაში რომ იცურაონ?
 – ჰო, რომ იცურაონ, დაისვენონ და სიცოცხლე გაიხანგრძლივონ.
 – უხარიათ მერე?
 – როგორ არა! გოცელები ადამიანები ყველაფერს ათვალაობენ.
 – რას ათვალაობენ?
 – ზღვას, გემებს, კოპწია სახლებს, ლამაზ სასტუმროებს, შადრევნებს, მაღალ მთებს...
 – კიდევ, ბაბუ, სოხუმში მტრედებს არაინ იჭერს?
 – ოჰ, არა, მტრედს იქ არაინ იჭერს!
 – არც თოლიას?
 – არა, არც თოლიას.
 – მაწანწალა ძაღლებს?
 – არიან ადამიანები, რომლებიც მაწანწალა ძაღლებს უვლიან. ვის როგორ შეუძლია, ხან რას აჭმევენ და ხან რას.
 – ისინი ცოდონი არიან, ხო?
 – სახლი მაგათ არა აქვთ და პატრონიც არ ჰყავთ... ცოდონი როგორ არ არიან.
 – ბაბუ, ჩვენს ძაღლს სოხუმში ვინ უვლის?
 – ჩვენი ჯეკა ისეთი ყოჩაღია, თავს არ დაიკარგავს.
 – წვიმა როცა წამოვა, სად უნდა დაიმალოს?
 – თავის სახლში.
 – მაგარი სახლი აქვს?
 – კი, ხის სახლი აქვს, მაგარი, პატარა მწვანე სახლი... ჩემი ხელით აგუშენე.
 – ნეტა, ახლა სოხუმში თუ წვიმს?
 – შეიძლება წვიმს კიდევ.
 – ვითომ ცოტას იწვიმებს თუ ბევრს?
 – შენ ნუ ღელავ, იქ ხშირად წვიმს ხოლმე, მაგრამ ისე ლამაზად წვიმს, თავი

ზღაპარში გეგონება... წვიმა თავს კი არ გაბეზრებს, გეთამაშება, შენთან განშორება ეძნელება, გეაღერებს... გამოიღარებს და მოგენატრება.
 – კიდევ, ბაბუ, კიდევ რა არის სოხუმში?
 – ულამაზესი ტბები, ზღაპრული გამოქვაბულები და უძველესი ეკლესიები, ქვები, საუკუნეები რომ გამოუვლიათ... კიდევ ჯადოსნური მაგნოლიები და ზღვაში მოცურავე იალქნიანი ნაგები.
 – მაგნოლია რა არის?
 – დიდრონი ხეა, თეთრი და სურნელოვანი ყვავილის ხე... ამ ყვავილს ჯადოსნური ძალა აქვს, ბაბუ.
 – როგორ ჯადოსნური?
 – მაგნოლიები ამბებს ჰყვებიან.
 – რას მომიყვებიან, როგორ მაინტერესებს!
 – ბევრ საოცარ ამბავს.
 – ბაბუ, სოხუმში საით არის?
 – იქით, დასავლეთისკენ.
 – შორსაა დასავლეთი?
 – არა, აქვეა, ახლოს.
 – ძალიან მინდა სოხუმში, ჯეკასთან მინდა, ჩვენს სახლში... მაგნოლიებთან მინდა, ზღვაც მინდა ძალიან, სულ ძალიან. მე ცურვასაც ვისწავლი, ბაბუ!
 – მჯერა შენი!
 – იცი რა, დედოკო და მამიკო სახლში რო არ არიან, მეშინია შენც არ დამტოვო. მარტო ყოფნა არ მინდა. უჩემოდ ხომ არსად წახვალ?
 – ეგ რამ გავიქრებინა, უშენოდ სად უნდა წავიდე? შენ ჩემი ვაჟაკი ხარ, ბაბუ, გარის გამგრძელე!
 – მაგნოლიების ამბებს კიდევ მომიყვები?
 – მოგიყვები, შენ თავს გეფიცები, ყოველდღე მოგიყვები.
 ოთარ პერტახია – „მაგნოლიები აგებენ ჰყვებიან“

საარჩევნო სათრეველები

თქმული დებატებსა და დაპირებებზე მონიტორინგით, ანუ, ქართულად რომ გადმოვიყვანოთ, დამკვირვებლთა დაკვირვებით დებატები. ჯანდაბა ამით დებატებს, – ჩვენს ხალხს ვერაფერს შემატებს უზრდელოთა კაპაფონია, რადგან ისეთი ფონია, რომ ვუსმენ, ასე მგონია, მოშლილი პატეფონია!

კასტური სამართალი

ძველი ვაღის გასტუმრება ხელს თუ აძლევს კასტურ ნებას, ბევრი რამ დადასტურდება და ბევრიც ჩაბასტურდება!

აქში!

ამთავლო სორო ლაფში, ოდესაშიც, სოლოლაკშიც და მრავალთა გასაკვირად, საარჩევნო შაბათ-კვირას გვიპრდება, რომ გახსნის გვირახს!

– კიდევ სად რას?
 – ჰკითხეთ სანდრას!
 * * *

გვიტევეს იწილ-ბიწილებით, „ნაცთა“ გველის წიწილებით და სწამს, რომ გავიწილებით * * *

დაგვაყენეთ მშვიდად აქ, შინ, ჭიფყავო და სანდრა, აქში!

აუტციონი

საარჩევნო აუტციონს გვერდი რომ ვერ აუშქციოთ, ანკეცებით დაპირება გადმოყარეს გამპირებმა და როდესაც ცრუქაქუნა ჭორით იწერს მორიგ ქულას და სკამს რომ ეხახუნება, ღირს ხარხარის გახურებად!

ჩახედავ და ბახედავ

როგორც ყოველთვის, დღესაც გვატყუებს ყოფილი პირველი დედა: მიშას თვალბეჭეტი ჩახედავ და მაშინვე ყველაფერი გამოსწორდება. რომ არაფერი გამოსწორდება, ეს თვითონვე დაადასტურა შეიღმობოკლულ დედანთან, ქალბატონ ია მეტრეველთან შეხვედრისას.
 ჯიშინ ულაცს ვერ შევლის დაგვიანებით გახედვანა და რას მოგვიტანს ეგ შენი მკვლელის თვალბეჭეტი ჩახედავ. როგორ გაუძლებ შემტევებს სად გაეძევი, ნეტა, სად, ქალბატონ ია მეტრეველს, შეიღმობოკლულ ბუტას დედასა? დღემდე რომ უცქერ ისევე ზვრებს – ლამაზ ვაზად აშლილებს, ნეტავი რად არ იხსენებ მამა-შვილ ვაზაგაშვილებს? არ გვინდა შენი დათრგუნვა, მაგრამ გვაქვს სხვა ანგარიშიც, რას ეტყვი ჩვენს ხალხს, ან თუნდაც გურამ შარაძის ქალიშვილს? როცა ჩაგესმის გოღება, დედა რომ უხმობს სანდროსა, ღობე-ფორეზე მოდებანს ნულარ გაბედავ სხვა დროსა. კუკუმალობას არ შევინს მკვლელის თვალბეჭეტი ჩახედავ, რადგან ულაცსაც არ შევლის დაგვიანებით გახედვანა!

გოლოდინი

8 ოქტომბერს ველით შედეგს, ვინ და რატომ ხვდება ტაშით, ვინც პატიმრებს, ცოცხის შემდეგ, ცხვირს უყოფდა უახანალოში.

ნაბგობანა

ეშმაკეულის ნაგრამი ვერ შევლია ნაჩვევსა, ხალხს თვალბეჭეტი უხედავს, მაგრამ ის კეთილს და ბოროტს არჩევსა და არჩევნებში ნაგავის ნაგობას წარმოაჩენსა!

ზედაში

არ გამოდგება ნამდვილ ზედაში, თუ ყურძენია ცუდი მოსავლის; არც დეპუტატად გვარგებს მე და შენ ნაბუშარი და ნასორსალა!

ალექსანდრე შენბელია



„ჩემი შვილები ერთმა ქართველმა მოკლა და არა ქართველებმა, შენ რა შუაში ხარ?“ – ტკივილნარევი მოგონება აზხაზეთიდან...

ეს მცირე ტკივილნარევი მოგონება აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს და კოლეგას ეკუთვნის (მის სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ). მასთან კავშირს ინტერნეტის საშუალებით ვახერხებთ. მისმა ნაამბობმა თითოეული ჩვენგანის გულისტკივილი და წარსული კიდევ ერთხელ შეგვახსენა... 23 წლის წინ, 27 სექტემბერს ხომ სოხუმი დაგვარგეთ...
 „ლამაზი, მზიანი დილა, უცნაური სიჩუმე. ზღვის, მთისა და ციტიუსის სუნი ტრიალებს ჰაერში. ყველას დეიბავს და მაინც სიჩუმეა, შორიდან ისმის სროლის ხმა და ძალიან მცირა... კიდევ რამდენიმე წუთი და ყველა ქუჩაშია. ტირიან ბავშვები, გარბიან ძაღლები... ძალიან ახლოს რადაც აფეთქდა... თითქოს ყველა მხრიდან ისერიან და საკუთარი სუნთქვა მესმის... „რისთვის?! მიწა ხომ ტალახია!!!“ – მომესმა იქვე ახლოს მოხუცი ბაბუის ხმა. ყველაფერი აირია...
 გადიოდა დრო – სისხლით, შიშით, შიმშილით, დაღლით, დაცინვით და მრავალი

უბედურებით. ვშიშობდი სიძულვილი არასოდეს გაქრებოდა, აღარ იქნებოდა მზე ხალისიანი, ზღვა მხიარული და ცა ისევ მოწმენდილი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... ვდგავარ ენგურის ხიდან და სტუმარს ველოდები – თბილისელ სტუმარს. უცნაური შეგრძნება მაქვს, თან შიშის, თან სიხარულის... მთელი გზა ვიხსენებთ მხიარულ თავგადასავლებს, ლამაზ დღეებს, მეგობრებს და ნაცნობებს. ბოლოს საერთო ნათესავს მივაკითხეთ – დიდის მოწიწებით მიგვიღო.
 გამკრა შიშმა, სტუმარს ეთიკურობის გამო საფრთხე არ შექმნოდა, წასვლას ვქარობდი, რადგან იქვე ახლოს მცხოვრები მეორე ნათესავის მეშინოდა... მას ხომ ხუთი ოჯახის წევრი, მათ შორის ბავშვები აუფეთქეს... უცებ კართან ძაბეში ნაცმული ქალი გამოჩნდა, სწორედ იმ ოჯახის წევრი, ვისიც მეშინოდა. მოდიოდა ნელა, სახის ცივი გამომეტყველებით, სტუმარს თვალს არ აშორებდა. სიჩუმე ჩამოვარდა... სტუმარს

სახეზე ფერი არ ელო, – „ჩემს სახლს რატომ აუარეთ გვერდი, ჩამიარეთ?“ – იკითხა და მე შემომხედა, – „ჩემთან რატომ არ შემოიყვანე?“... ხმა ვერ ამოვიღე, ვერაფერს ვუპასუხებდი. მერე სტუმარს მიუბრუნდა, დიდხანს უყურა... ალბათ ყველას გვესმოდა ერთმანეთის გულისცემა... „ჩემი შვილები ერთმა ქართველმა მოკლა და არა ქართველებმა, შენ რა შუაში ხარ?“ – უთხრა და შეუბღე ნაზად ეამბორო... მერე სკამზე ჩამოჯდა და ჩემად, უხმოდ დაიღვარა ცრემლად...
 მაღლობა დმერთს, რომ ამქვეყნად კეთილი და მოაზროვნე ადამიანები ცხოვრობენ... ისევ შემოიყვარდა აქაური ჰაერი, ცა, მზე და ზღვა! ხშირად მახსენდება ეს ამბავი და იმედი მრჩება, რომ ყველაფერი კარგად იქნება! ნელ-ნელა ვხვდები მოხუცი ბაბუის სიტყვებს – „მიწა ტალახია... მიწა ტალახია...“

ლუკაშენკო და ისლანდიური „სატყუარა“

მსოფლიოში მიმდინარე საინტერესო მოვლენების „მიმოხილვას“ უკრაინიდან მოსული ინფორმაციით დავაყენებ. გასული წლის დეკემბერში, ერთ-ერთ სამთავრობო სხდომაზე მიხეილ სააკაშვილსა და უკრაინის შს მინისტრ ავაკოვს შორის დაპირისპირება მოხდა. სომხური ფესვების მქონე ავაკოვმა ვითომ ქართველ სააკაშვილს წყალი შეასხა და „ჩემი ქვეყნიდან წავითრიო“, – მიამახა.

ორი დღის წინ კი ავაკოვმა ოდესის ქართველი გუბერნატორი კვლავ გაიხსენა და „საინტერესო“ ბიზნესგეგმა შესთავაზა. მან „მიმა მაგარი“-ას კიევიში ქართულ-სომხური რესტორნის გახსნის იდეა მიაწვოდა.

„შესანიშნავი იდეა გახლავთ და სააკაშვილი გვერდში ამომიდგება. რესტორანს სახელად „ბუბუბუ“-ს დავარქმევთ. დარწმუნებული ვარ მოკლე დროში ქალაქის დირექციამ ავაკოვს იდეა გადაეცემა. შესახვედრად მისი სტუმრები უფასოდ ერთი ჰქიპ ცივი წყალი გადაეცემა“, – განაცხადა არსენ ავაკოვმა.

რაც შეეხება დასახელებას, ავაკოვის მტკიცებით, „ბუბუბუ“ სააკაშვილის საუბრის მანერასა ხუსტად გამოხატავს.

ოდესის გუბერნატორის პოლიტიკური ოპონენტისთვის პასუხი ჯერ არ გაუცხვია. აღბობ სერიოზულად ჩაფიქრდა. ავაკოვი მისი მოწინააღმდეგე კი არის, მაგრამ ქართულ-სომხური ერთობლივი რესტორნის იდეა მაინც მაცდურად გამოიყურება.

სომხებზე ჩამოვარდა სიტყვა და ორი დღის წინ ქართულ ვებგვერდებზე ერთი „მარგალიტი“ გავრცელდა – სომხები ირწმუნებიან რომ მათი ქვეყანა ღვინის ისტორიული სამშობლოა... რასაკვირველია, კომენტარი ზედმეტია. ერთს კი დამეხარდა, რამდენიმე წლის წინ სომხებმა აკადემიკოსმა, ვინმე სურენ აივაზიანმა განაცხადა,

რომ ნიკო ფროსმანი ფროსმანიანი გახლდათ, ზაქარია ფალიაშვილი – ფალიანი, კოტე მარჯანიშვილი – მარჯანიანი, ილია ჭავჭავაძე – ჭავჭავაძე, თამარ დედოფლის ქმობლები სომხები იყვნენ, შოთა რუსთაველიც სომხი იყო და სახელად აშოტა ერქვა.

ეს ფაქტები ჩემი მოგონილი ან ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ. რა გითხრათ. დაგვიტოვეთ რაიმე, ბატონო.

უკრაინის დაფუძრუდნით ამ ქვეყანასა და რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა გრძელდება. ამის მიუხედავად რუსი ტურისტებისთვის ქალაქი კიევი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. რამდენიმე დღის წინ რუსულ მასშტაბში გავრცელდა ცნობა, რომ რუსი ტურისტები ყველაზე მეტად ლონდონს, ნიუ-იორკსა და კიევს სტუმრობენ. ამ „ნიუსმა“ არ გამაკვირვა. რუსეთ-საქართველოს ომის დროს თავად ვარ მომსწრე თბილისის ქუჩებში მოსეირნე რუსი ტურისტებისა. რას იხამ, კაცია და გუნება...

აშშ-ში მალე მორიგი საარეზიდენტო არჩევნები გაიმართება. რასაკვირველია, მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური მიმომხილველები ტრამპისა და კლინტონის შესაძლებლობებსა და შესწავლას აპირებენ. მე რითი ვარ ნაკლები და ამ მარაქში ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკოც გაერია. „ბატკა“ საკუთარი პროგნოზი გააკეთა.

„ამერიკული საზოგადოება პირველ პირად ქალს არ აირჩევს. ამ ნაბიჯისთვის ის მზად არ არის. დონალდ ტრამპი არჩევენს 5-7 პროცენტად უპირატესობით მოიგებს“, – განაცხადა ბატონმა ალექსანდრემ.

საინტერესო იქნებოდა მისი მოსაზრება დანიშნული საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ. ჯერჯერ-

ობით ბელორუს ნოსტრადამუსს ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია.

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ აშშ-დან მოსული უკანასკნელი ცნობით, ტრამპსა და კლინტონს წინასწარი გამოკითხვებით, ამ ეტაპზე მათი რეიტინგები თანაბარია.

რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს „ძლიერთა სქესის“ უმეტესობა (განსაკუთრებით ინტერნეტმომხმარებლები) ფეხზე დადგა. ქვეყანაში შემდეგი „საინტერესო“ ამბავი გავრცელდა.

„ისლანდიის სახელმწიფომ შემოიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც თუ უცხოელი მამაკაცი ისლანდიელ ქალთან ერთად იცხოვრებს ისლანდიაში ერთი წელი და ექნება მასთან სქესობრივი ურთიერთობა, მაშინ ისლანდიის სახელმწიფომ ამ მამაკაცს ყოველთვიურად უხდის 5000 დოლარს“.

დაიწყო და რა დაიწყო. პირადად ორმა ნაცნობმა დამირეკა, – ისლანდიის ვიზა სადავითოთ? დაინტერესდი და საჭირო ინფორმაცია შეგი მოვიძიე.

„საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მიემგზავრება ისლანდიის რესპუბლიკაში, ესაჭიროება შესაბამისი კატეგორიის ვიზა (ტურისტული, საქმიანი და ა.შ.).“

მოკლევადიანი 90 დღემდე ვიზა გაცივება საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ, ხოლო გრძელვადიანი ვიზა გაცივება ქ. კიევში (უკრაინა) ისლანდიის საელჩოს მიერ.

ალბათ უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ ევროპის ამ ყინულოვან სახელმწიფოს ქართველი მამაკაცების დიდი ტალღა მიავედება. ხუმრობაა, ერთი წლის განმავლობაში მუდმივი სიამოვნება და „მუქთაღ“ თვეში 5 ათასი ევრო.

ბიორგი ბანჩილიაძე

ბედვან ფოფხაძე – არარეალურია, საკონსტიტუციო სასამართლოში უსუფაშვილის შემოთავაზებულ კანდიდატურას ჩვენ მხარი დავუჭირებთ

დეპუტატ გედევან ფოფხაძის აზრით, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფოფხაძემ განუცხადა, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის ქვეტით დასანიშნი მოსამართლის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას შეარჩევს.

„ნაკლებად რეალურად გეგონია, რომ დავით უსუფაშვილის კანდიდატურას ჩვენ მხარი დავუჭიროთ. ჩვენ ვიყავით კოალიცია, ერთად ვიბრძოდით, ერთად მივადგინეთ 1-ელი ოქტომბრის გამარჯვებას, მაგრამ დღეს ჩვენ დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები ვართ, ჩვენ ჩვენი დამოუკიდებელი გზა გვაქვს. შესაბამისად, იმის ამბიცია ნამდვილად გვექნება, რომ მსგავს შემთხვევებში ჩვენი პოლიტიკური რესურსი გამოვიყენოთ და ჩვენი აზრი გავიტანოთ ბოლომდე“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გედევან ფოფხაძემ.

მისივე აზრით, „უპირანი იქნება, მე-8 მოწვევის პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე საერთოდ არ დანიშნოს და თუ პრობლემა არ შეიქმნება, ის ახალმა პარლამენტმა დაამტკიცოს“.

სექტემბერში, საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხ მოსამართლეს: – გიორგი პაპუაშვილს, კონსტანტინე ვარძელაშვილს, ქეთევან ერეკლეასა და ოთარ სიჭინავას უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა ამოეწურა. ოთხი ვაკანტური ადგილიდან ერთზე მოსამართლე პარლამენტმა უნდა დანიშნოს (ქეთევან ერეკლეას მინაცვლევ).

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ის კანონით მინიჭებულ უფლებას აუცილებლად გამოიყენებს და პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის საკუთარ კანდიდატურას შესთავაზებს.

„საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილი პრობლემა არის საკმაოდ დრამა და ვითარება არის პრაქტიკულად კრიზისული. გამოსავალი არის ერთადერთი – სექტემბერში საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლიდან ოთხი უნდა შეიცვალოს. აქედან ერთი პარლამენტმა უნდა დანიშნოს. უახლოეს ერთი თვის განმავლობაში ჩემი ამოცანა იქნება, რომ პრეზიდენტმა, უსუფაშვილმა სასამართლომაც და პარლამენტმაც მოსამართლეობის დანიშვნა შეძლო. ამით სასამართლო დავაბრუნებთ თუ ჩავაყენებთ სწორ ჩარჩოებში და მან დაიწყოთ სწორი და არასკანდალური საქმიანობა. რაც შეეხება პარლამენტს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურას პირადად მე პარლამენტს აუცილებლად შევთავაზებ. მაქვს უფლება პარლამენტს სასამართლოს წევრის კანდიდატურა შევთავაზო და ამ უფლებით აუცილებლად ვისარგებლებ. შევეცადები კოლეგები დავარწმუნო, რომ ეს საშუაო საქმეა. თავად კანდიდატურის შერჩევის პროცესში მექნება კონსულტაციები, არ ვაპირებ ამ თემაზე დიდი შოუების მოწყობას, ვისაც ექნება მოსაზრებები, მზად ვარ მოვისმინო. არის ხალხი, რომელსაც მე აუცილებლად ვაგვიზარებო – ამ სფეროს პროფერსიონალებს, სამოქალაქო სექტორს, სხვებსაც. არ მინდა, კანდიდატი კანდიდატობისთვის დაგვანახო, ამიტომ მექნება საუბარი პოლიტიკურ ჯგუფებთანაც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე მინდა, რომ იქ დანიშნოს სათანადო უნარ-ჩვევების, აგტორიტეტის, პრინციპების მქონე ადამიანი, რადგან სასამართლოს ამ ვითარებიდან ამოყვანა, მოითხოვს კიდევ დამატებით თვისებებს, დამატებით უნარ-ჩვევებს და არა უბრალოდ კარგ მოსამართლეობას“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ დავით უსუფაშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან სამს პარლამენტი ირჩევს. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს. პარლამენტის მიერ მოსამართლის დანიშვნას სულ მცირე 76 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება.

სახლში, რომელიც იძულებით გაეყიდა, დღეს ირმა ნადირაშვილი ცხოვრობს

„ნაციონალისტების“ ხელისუფლების მალე აღმოსვლა რიგითი ადამიანების ხარჯზე მდიდრდებოდა. თადარიგის პოლიკოვნიკმა და შეიარაღებული ძალების ვეტერანმა გიორგი შინდელიშვილმა სახელმწიფოს ქონება მხოლოდ იმიტომ გადასცა, რომ შვილი უკანონო პატიმრობიდან დაეხსნა.

შინდელიშვილის შვილი, როლანდ შინდელიშვილი 2004-2008 წლებში ბუქს-ის ოპერატიულ მუშაკად მუშაობდა, მისი უშუალო უფროსი ვაჟა ლელუაშვილი იყო, რომელმაც პოლიკოვნიკს ერთი მილიონი მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შვილს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ლელუაშვილმა დაზარალებული შეასრულა, პრობლემა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ბოლოს ოჯახი იძულებული გახდა, რომ ყველაფერი გაეყიდა, მათ შორის, სახლი, რომელიც ცხოვრობდნენ. სახლის მყიდველი კი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი გახდა.

გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი შინდელიშვილთან.

ბატონი გიორგი, რა პრობლემები შეგექმნათ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს და რის საფუძველზე დააკავეს თქვენი შვილი?

– 2008 წლის 6 აგვისტოს საირმეში მივემგზავრებოდი, რა დროსაც მობილურზე დამირეკა ვაჟა ლელუაშვილმა და მითხრა, რომ აუცილებლად მენახა, რადგან ჩემი შვილთან დაკავშირებით სერიოზული ვითარება იყო. მაშინვე მოვბრუნდი, ვნახე ლელუაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ უნდა გადაგვეხადა 100 ათასი დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში გათავსდებოდა. მითხრა, რომ ორდღის ვილოდა უსიამოვნებები. მოხსრა, რომ შენც დაგიჭერ და შენს შვილსაც. თავიდან ეს მოთხოვნა ხუმრობა მეგონა, რადგან სინამდვილეში ჩემს შვილს არაფერი პრობლემა არ ჰქონდა, მაგრამ მალე დაგერწმუნე, რომ ლელუაშვილი თანხას ნამდვილად მთხოვდა. რამდენჯერმე დამირეკა ლელუაშვილმა და მეკითხებოდა, გადავიხდიდი თუ არა თანხას. დღეისთვის მერტოხთან შევხვდი და გავუცხადე, რომ არავითარ თანხას არ გადავიხდიდი, რადგან ჩემი შვილი უდანაშაულო იყო. თუმცა,

ლელუაშვილი დამემუქრა, რომ პრობლემები შეგექმნებოდა, თან დასძინა, – ცხინვალში ვითარება დაიძაბა და ჩვენთვის არ ეცადა.

– თქვენი შვილი ხომ ბუქს-ში მუშაობდა?

– მუშაობდა, მაგრამ მას ვინ ჰკითხავდა რამეს? ლელუაშვილი იყო მისი უფროსი და როგორ ფიქრობთ, ჩემს შვილს რა შეუძლოდ გაეკეთებინა?!

– ბატონო გიორგი, რა პირადი ინტერესი ჰქონდა ლელუაშვილს თქვენთან?

– წლების განმავლობაში ძალიან სტრუქტურაში ვმუშაობდი, ტაბახმელაში, წავისსა და შინდისში ყველა ბატვის მცემდა. იცოდა, რომ მიწის რეფორმის საშუალებით ავიღე მიწის ნაკვეთი, რომლის წართმევა უნდოდა. ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი, ქონების გამოძღვის მიზნით გააკეთა ეს ყველაფერი.

სახლში ჩამიყარეს ავტომატები და დაიჭირეს ჩემი შვილი, რომელიც ჩემს სახლში არც ცხოვრობდა. როდესაც მოვიდნენ, ვუთხარი, სახლში ჩემია და აქ რატომ ეძებთ როლანდს-თქო, მაგრამ არ აინტერესებდათ, უნდოდათ, რომ ჩემი შვილი აუქვანათ მძევლად და მერე ამ გზით ჩემთვის წაერთმიათ ქონება. ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩემი შვილი დააკავეს.

– რა ბრალდებით დააკავეს?

– შეითხინი ბრალდებით დააკავეს. ბინის ჩხრეკის დროს პოლიციის მუშაკებმა ჩვენს თვალსაჩინო ჩაყარეს და ამოიღეს ავტომატები 10 ვანა, ასევე ჩემს შვილს დააბრალეს, რომ მან შეიძინა და გაასაღა წინასწარ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მანქანა. როლანდი დააკავეს და მე-8 საპრობლემაში გადაიყვანეს. დამით არეკინებდნენ და ათხოვნიებდნენ, რომ ნებისმიერი საშუალებით გამოგვანა ციხიდან.

ამ მიზნით, სტრ-ის ხელმძღვანელობის მითითებით, ჩემი შვილის BMW-ს მარკის ავტომანქანა სახელმწიფოს გადაეკუთვნა, ჯარიმის სახით კი 20 ათასი ლარი გადაამხდევინეს. ჩემი შვილისთვის წართმეული მანქანით შს მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი განაღვიდებოდა, შემდეგ სტრ-ის უფროსი ერეკლე კოდუა. გარდა ამისა, ყველაფერი წამართვეს, –

მიწის ნაკვეთი შინდისში, ტაბახმელასა და წავისში.

– მიწის ნაკვეთები ლელუაშვილს გადაუფორმებ?

– არა, სახელმწიფოსთვის გადამაცემინეს, მერე აპირებდნენ ამ შეთანხმების გაუქმებას და საკუთარ საკუთრებაში გადაფორმებას, მაგრამ აღარ დასცალდათ. თვითონ გახდნენ დასაჭერები.

– მიუხედავად იმისა, რომ ქონება გადაეცეთ სახელმწიფოს, მათ შორის – მანქანა, გადაიხადეთ ფული, თქვენი შვილი ხელმეორედ დააკავეს. მეორედ რა გახდა დაკავების მიზეზი?

– ჩემმა შვილმა იცოდა, რომ ვინმე კორთაძე ყიდა მიწის ნაკვეთს, ჩემს ძმისშვილს უთხრა ამის შესახებ, რომელმაც კორთაძესთან შეხვედრა სთხოვა. ჩემმა შვილმაც შეახვედრა კორთაძეს, ამის შემდეგ ჩემი შვილი მათთან კავშირში არ იყო, მაგრამ რადგან ჩემი ინტერესი ჰქონდათ, უკვე ამ საქმეზე დააკავეს ჩემი შვილი. ფაქტობრივად მოხდა ისე, რომ კორთაძემ გაყიდა მიწის ნაკვეთი, რომელსაც საჯარო რეესტრში კოდი შეუცვალეს და თადლითობა ჩაიდინეს. ჩემმა შვილმა კორთაძე და ჩემი ძმისშვილი დააკავშირა და ამის მერე მათთან არაფერი ესაქმებოდა. უნდა დაეჭირათ საჯარო რეესტრის ხალხი, ვინც ფული აიღო, მაგრამ ჩემი შვილი დააკავეს. ყველაფერი ჩემს შვილს დააბრალეს.

– არსებობდა მტკიცებულება, რომ თქვენი შვილი მონაწილეობდა თადლითობაში?

– არა, არანაირი მტკიცებულება არ ჰქონდათ, დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მაინც დააკავეს. სანამ დარწმუნდნენ, რომ ჩემი წამართვეს, მაინც ჩემი შვილი არ გაათავისუფლეს. 7 თვე ჰყავდათ მძევლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყო. დამის 2 საათზე არეკინებდნენ სახლში და მეუბნებოდნენ, მიმეცე ყველაფერი რასაც მოხვდნენ, რათა სიცოცხლე შენარჩუნებინა. სწორედ ამ ნერვიულობას ემსხვერპლა ჩემი მუცელი. – შვილი დახასხენდად მოგიწიათ სახლის გაყიდვა?

– შინდისში მდებარე სახლი ვაყიდე იმიტომ, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის

საჭირო ფული არ მქონდა. იმეორე, იმუღებულები ვაყიდე, რომ სახლი გამეყიდა.

სახლი მიყიდე ირმა ნადირაშვილს, ეს თანხაც და კიდევ 50 ათასი ლარი სახელმწიფოს მივეცი საპროცესო შეთანხმებისთვის. შემდეგ დამატებით მომთხოვეს 2 ჰექტარი მიწის ნაბარება უსასყიდლოდ. დღეს, ამ სახლში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი ცხოვრობს.

– და, ირმა ნადირაშვილი როგორ აღმოჩნდა მყიდველი?

– როდესაც ლელუაშვილს ვუთხარი, რომ არ მქონდა საპროცესო თანხის გადასახდელი ფული, მოთხოვე, რომ სახლი გაყიდე. ამ დროს ჩემს ტელეფონზე შემოვიდა ზარი და მაშინ ჩემთვის უცნობი ადამიანი მეკითხება – სახლს თქვენ ყიდით? ასე ყიდა კაპიტალად ნადირაშვილმა ჩემი სახლი შინდისში.

– როგორ ფიქრობთ, ნადირაშვილის ზარი შემთხვევითობა იყო?

– ვერ ვეტყვით, მაგრამ ფაქტია, როდესაც მომთხოვეს, რომ საპროცესო შემეტანა და ვუთხარი, რომ ფული არ მქონდა, მომთხოვეს, სახლი გამეყიდა. ამ დროს ჩნდება ირმა ნადირაშვილის მუცელი და ყიდულობენ ჩემს სახლს. მაშინ ირმა ნადირაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო.

– თქვენ მიმართეთ პროკურატურას და შეგიძლიათ გითხრათ, რა ეტაპზეა თქვენი საქმე?

– 4 წელი იძებდა პროკურატურა ამ საქმეს, ლელუაშვილი მიიყვანეს დაკითხვებზე, თქვა, მე ფული არ მომითხოვია, შინდელიშვილი იტყუებოდა. პროკურატურამ უთხრა, ბატონო ვაჟა, თქვენ პარტიისანი კაცი ხართ და წადით სახლში, მაგრამ მერე არაფერი ნანაწერების საქმეზე დაიჭირეს. მე რომ მილიონს მძალავდა და მთელი დამეცვლავონზე მირეკავდა – ფული მოიტანე, თორემ შენს შვილს დავიჭერთო, ეს თურმე მომიგონა და სახელმწიფოსთვის თურმე ქონება ნებით მიჩუქებია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოვითხოვე ჩემი შვილის კუთვნილი მანქანის განყიდვა და დაბრუნება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მანქანა გაეყიდა და ყველაფერი გაერკვიათ, შს მინისტრმა ეს მანქანა გაყიდა.

მოსაზრება – სენაკში კირქვის მოპოვებისა და სხვა მთავარი საკითხის განხილვის შედეგად



კარგა ხანია მიმდინარეობს მოსაზრებათა დაპირისპირება სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობის აკარგის შესახებ. ვიდრე საკუთარ თავსაზრისს ჩამოვაყალიბებ, მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ უნიკალური სამშენებლო მასალით – კირქვის მარაგით გამოირჩევა მთა, რომელიც სენაკის რაიონიდან იწყება და, სობის ჩათვლით, თითქმის ზუგდიდამდე აღწევს. დიდი ხანია ცნობილია ამ უნიკალური სამშენებლო მასალის არსებობის შესახებ. მე-19 საუკუნეში, დიდი მეცენატი, ნიკო ნიკოლაძე, თურმე ფიქრობდა გამოეყენებიათ ბუნების ეს საჩუქარი. როცა რკინიგზა ფოთი-ხესტაფონი გაიყვანეს, ეს სამშენებლო მასალა გამოიყენეს. მცირე მოცულობის გარდა, გასულ საუკუნეებში ამ უნიკალური მარაგის დამუშავება, სათანადო ტექნიკისა უქონლობის გამო ვერ მოხერხდა. მხოლოდ კომუნისტების მმართველობის ეპოქაში, სენაკის ცენტრის დასავლეთით, მთის ძირას, ამოქმედდა კირის გამოსაწავი სამუშაო, რომელიც დიდი წარმატებით მუშაობდა და თუ დღეს, სენაკში და მის ირგვლივ მდებარე რაიონებში თუ სოფლებში ერთ-ერთ სართულიანი სახლები კოპილაობენ, სწორედ მისი „დამსახურებაა“. აქ მუშაობდა ათობით ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო უზარდობდა აძლევდა რქეს და მალაღა აწარმოებდა.

გაიმართა. ცხადია, ქარხანას ჩინური ჯგუფი „ჰუალინგ ჯგუფი“ აზია-აფრიკის მ კ ე ე მ ე ნ ტ ი ს საშუალებით 100 მილიონი ან ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ი ს განხორციელებას აპირებს. თავიდან გათვალისწინებული იყო, რომ ნოსირის ცემენტის ქარხანას 600 ათასი ტონა ცემენტი ეწარმოებინა. შემდეგ ეს ციფრი მილიონ 400 ათას ტონამდე გაიზარდა.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ სოფელ კოტიანეთში, სადაც „ქართულმა სამშენებლო მასალების კომპანიაში“ კირქვა უნდა მოიპოვოს, უზარმაზარი რაოდენობის მთის მასა უნდა მოიჭრას. სიახლოვეს მათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მათ შორის ჩვენი წარსულის სიამაყე, „არქეოპოლისი“, ანუ, იგივე ციხე-გოჯის უნიკალური ნაგებობა, რომელსაც წლის განმავლობაში ათასობით უცხოელი ტურისტი თუ ადგილობრივი მნახველი სტუმრობს.

ადგილობრივები შიშობენ, რომ კირქვის მოპოვება ხომ არ შეუქმნის საფრთხეს არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, არამედ მათ ჯანმრთელობას?! ეს მართლაც დასაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ კასპის რაიონის მაგალითს, სადაც ცემენტის ქარხნის სიახლოვეს ყველა სახლს გამონაბოლქვის მტვერი ადევს. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ „ჰუალინგ“ ჩინელებს ჩამოიყვანს და ძირითადად მათ დასაქმებს. რაც შეეხება გამონაბოლქვის დამცავ საშუალებას, ის რაც უნდა უნიკალური იყოს, მწვობრიდან მალე გამოდის და მისი შეცვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ქარი რომ დაუბერავს, სენაკი გაეხვევა მტვერის კორიანტელში, ზღვარის დროს – აბაშაო.

ნოსირში დაამზადებენ სხვადასხვა ხარისხის ცემენტს, მათ შორის ზღვის წყლებში ჩაანახლები ბეტონისათვის ვარგის ცემენტს და წარმოებული პროდუქციის სამოც პროცენტს საზღვარგარეთ გაიტანენ. ეს კი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. როგორც ირკვევა, შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ცემენტის ძირითადი ექსპორტორი დღეს თურქეთია, რომელსაც ახლა თურმე შეზღუდვები აქვს დაწესებული ბევრ მეზობელ ქვეყანასთან, ხოლო საქართველოს არავითარი შეზღუდვა არ გააჩნია, ამიტომ, სენაკის მუნიციპალიტეტის სამშენებლო მასალა ორმაგად მომგებიანი იქნება.

დიახ, მომგებიანი გახდება სახელმწიფოსა და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც აქ ბიზნესს განხორციელებენ, მაგრამ მოსახლეობისთვის? ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაერთგვაროვანია. ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით კირის კარიერი და ცემენტის ქარხანა საფრთხეს შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ასევე სახიანო იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. საზოგადოების ნაწილმა წერილობით უკვე მიმართა პრემიერ-მინისტრს მოთხოვნით, მშენებლობა არ დაიწყოს მანამ, სანამ სპეციალური კომისია არ დადგეს საფუძვლიან დასკვნას ზემოთხსენებული სამშენებლო ქარხნის უსაფრთხოების შესახებ.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მოლოდინის რეჟიმშია. დუმს. ალბათ იმის გამო, რომ ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას კვერს თუ არ დაუკრავენ, იციან, რაც მოელოთ... არის მოსახლეობის მეორე ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ სენაკი დღეს ნახევრად „მკვდარი“ ქალაქია. გარდა „არქეოპოლისისა“ (გზის საფარის დამგები კომპანია), თხილისა და დაფნის

გადაამუშავებელი მომცრო სამქროებისა, არაფერი მუშაობს. შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში გაიქცა. ხალხს ენატრება საკუთარი შეილები და რძლები, ისე კვდებიან, ისე მიდიან სამუდამო სასუფეველში, წლებით ვერ ნახულობენ ახლობლებს. მწუხარებასა და ცრემლს ვერ დააღწევს თავი.

ქალაქის სამხრეთით მძლავრი სამხედრო ბაზაა განთავსებული. 2008 წელს, გორისა და ფოთის პარალელურად სენაკიც დაიბომბა. დიდი მსხვერპლი გაიღო მოსახლეობამ. არსებობს მოსალოდნელი საფრთხის შიშიც. კერძო სახლებს ჩაღის ფასადაც არავინ ყიდულობს. რაიონი ეკონომიურად თანდათან ღარიბდება, ამ ფონზე ამბობენ, რომ თუ რაიმე აშენდება და მოსახლეობას დასაქმების საშუალება მიეცემა, ეს საღრრობელადან ადამიანის ჩამოსხნის ტოლფასი იქნება.

მართლაც, კომუნისტური ყოფის შემდეგ ყველაფერი დაინგრა, თორემ არაფერი აშენებულა. ძველები ოხვრი ამბობენ – „სენაკს მარადიული შავი ღრუბელი გადაეფარა“.

თურმე, როცა საქართველოში ავტოქარხნის მშენებლობა იგეგმებოდა, მოსკოვიდან გამოავაზენეს უნიტეერესი ინჟინერი სიმონ ოდიშარია. იგი აეროპორტების მშენებლობის პროფესიონალი ყოფილა. ახლოს იცნობდა ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს, ამიტომ, სწორედ მას ანდგეს საქართველოში ავტოქარხნის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევის საკითხის გადაწყვეტა. სიმონი მშობლიურ რაიონში (მაშინდელ ცხაკაიაში) სიხარულით ჩამოვიდა. შეხვედა ხელისუფლების მესვეურებს, ამცნო მოსკოვის სურვილი და თუ ისინი ამ საკითხით დაინტერესდებოდნენ, ქარხნის მშენებლობის საკითხს საქართველოს ცეკასთან შეთანხმებდა და დადებითად გადაწყვეტაში მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას. მაშინდელმა რაიონის წარმომადგენლებმა ქვა ავდეს და თავი შეუშვირეს – ქალაქი რომ გაიზარდებოდა ხელმძღვანელებად ვინდა დაგტოვებოდა და ცხენსაშენის გამართვა არჩიეს.

ჩამოშალა ქალაქში მრეწველობის განვითარების უნიკალური შესაძლებლობა, რასაც დღეს წუხილით იხსენებენ. შემდგომ მცირე ხომის საწარმოები გაიხსნა, მაგრამ ისინიც დაიკეტა არარენტაბელურობის გამო. ბოლო ათი წელია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას პირდებიან, რომ კურორტი მენჯი (რომელიც ერთ დროს საერთაშორისო სამკურნალო ბაზა იყო, ახლა კი მიწასთანაა გასწორებული – უნიკალური წყალი უსარგებლოდ იღვრება მდინარეში) კვლავ აღორძინდება. თითქოს ჯერ თურქული კომპანია განახორციელებდა ინვესტიციას, შემდგომ ჩინური, მაგრამ ჰაერის ბუმბუკით გაქრა ეს იმედი. ნოსირში აგურის ქარხანა გაიმართება (აქ ადრე მოქმედებდა აგურ-კრამიტის საწარმო). მიწა მართლაც უნიკალურია, სამწუხაროდ, ესეც ტყუილი გამოდგა. ითქვა – ნაგვის გადაამუშავებელი თანამედროვე ქარხანა შეიქმნება, მაგრამ რომელიც რაიონში გადაიტანეს და სენაკი გალოკილი თითოვით დარჩა...

ასევე იყო შეპირება, რომ რუსული საავიაციო სამხედრო ბაზის ორი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, რომელსაც კაკახიაში ანალოგი არ აქვს, რუსი სამხედროების წასვლის შემდეგ, მძიმეწონიანი საპრო-სატრანსპორტო საშუალებების აეროპორტად გადაკეთდებოდა. მაგრამ ჩეროვინსკი უჩინარი ძაღვები და აეროპორტის მშენებლობა ზუგდიდში გადაიტანეს, იქ კი მიწის გრუნტი შესაფერისი ვერ გამოდგა და...

აეროპორტმა ჭირი მოგჭამათ, და დღეს, სენაკში, უნიკალური, ბეტონიზირებული, ორზოლიანი, მსოფლიო სტანდარტის მძიმეწონიანი თვითმფრინავების მისაღებად გამოსადგენ ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებს სარეველა ბალახი მოდებია.

მეტს არ გავაგრძელებ. იმასაც ამბობენ – იმიტომ ატყეხს ადენი აურზაური სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე,

რომ „ზნელ ძაღვებს“ მისი სხვაგან გადატანა სურთ. ეს ეჭვი მუსირებს რაიონში და შეუძლებელია არ გაიზიარო, რადგან, რაც დაიგემა, „მტაცებლებმა“ სხვაგან გადაამისამართეს.

არადა, რაიონის ეკონომიური სიღრმეებიდან გამოსაყვანი საშუალებები არსებობს – გვაქვს კამკამა წყალი, გაშენებულია ჩაი, ეს კირქვიანი მთა თითქოს თვალებში შემოგციცინებს, ხელგაშლილი გვეყვდრება, ხალხს, შიმშილისაგან გათანჯულები შუკა-შარბში, რომ დაბორივებით, დაიკაპოვოთ მკვლელები, მოიმარჯვეთ წერტილი და თქვენდა სასიკეთოდ გამოიყენეთ.

უფაღმა ხე, ქვა წყალი და წიაღისეული იმიტომ გააჩნია, რომ ადამიანმა ისარგებლოს, საკუთარი მღვდარობა გაიუმჯობესოს. არიან ქვეყნები, მიწის ქვეშ კილომეტრებით შახტებსა და გვირაბებს თხრიან, სასარგებლო წიაღისეულს ეძებენ და ქვეყნის ეკონომიკას ახმარენ. ჩვენ კი, სიმდიდრე, აგურ, ხელისუფლება გვიდევს და მის გამოსაყენებლად არაფერს ვაკეთებთ.

ამგვარი უნიკალური მარაგი ევროპის ქვეყნებს რომ ჰქონდეთ, არა მგონია ყელში ნერწყვის ყლაპვით უცქირონ მას, მონახვენ ისეთ ადგილსა და საშუალებას, რომელიც ეკოლოგიურად არ იქნება საზიანო, ეკონომიურად კი მომგებიანი იქნება. აქ კი, მშვიდი მგლებით ვცნებ მთის იმ ადგილს, სადაც, შესაძლებელია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს.

მეწარმეებო, თქვე დალოცვილო ხალხო! გაიჩინეთ ან მარცხნივ, ან მარჯვნივ და ამხელა მთის მასივში მოძებნეთ ისეთი ადგილი, რომელიც ქვეყნისა და ხალხისთვის სასარგებლო იქნება!

მედაფს ხომ ორი მხარე აქვს! დღეს სიცოცხლის გადარჩენის ეპოქაა. როდესაც 33-ათასიანი ქალაქი და 56-ათასიანი რაიონის მოსახლეობა განახევრებულია, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ მოსახლეობამ კიდევ უფრო იკლოს. ამიტომ, ზოგიერთს მიაჩნია, რომ მტვერში ჩახრჩობა უკეთესია, ვიდრე ერთიანად გადაშენება.

არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, რომელთა პოზიცია გაიზიარო, მე ორივე მტკივა. წარსულიც და მომავალიც!

არ შემიძლო ეს გულისტკივილი არ მიმეტანა იმათთან, რომლებიც აცხადებენ, რომ სენაკის მოსახლეობას არც აინტერესებს რა ხდება მათ თავს. გაითვალისწინეთ, ბატონებო, ურპატრიოტიზმი საქმეს არ წაადგება. კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი განძია, მისი დაცვა სხვაზე ნაკლებ არ გვაფიქრებს. ვიცით ისიც, რომ ცემენტის ქარხნიდან გვერდით, ას მეტრში ხორბლის გადაამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებს. ერთნახევარ კილომეტრში, (ყოფილი სახელმწიფო სადგურის ბაზაზე) შეიქმნა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი და საშრობი საწარმო, რომელსაც 107 ჰექტარი მიწა აქვს სარგებლობაში, უკვე დათესილი აქვთ სოია, შვრია, ჩვეულებრივი და ჰიბრიდული სიმინდი და კარგ მოსავალს ელიან. შენდება ორი საშრობი, სადაც მოხდება მოწვეული პროდუქტების დამუშავება. არ მინდა წარმოვიდგინო, რა მოუვა ამ საწარმოებს, თუ ცემენტის ქარხნიდან მხრნოლაგი ბოლი ამოფრქვევა.


რომ ამბობენ, თითქოს ცემენტის ქარხნის მშენებლობისა და კოტიანეთის კარიერის ამოქმედების უკან დემურ გადავლია დგასო, შემიძლია ვთქვა, რომ დ. გადავლია არასდროს წავა მოსახლეობის ნების წინააღმდეგ. მან კირის კარიერი კარგა ხანია დახურა და ერთადერთია რომელმაც, როგორც იტყვიან, „კბილებით“ შეინარჩუნა საწარმო, სადაც ასობით ადამიანი საქმიანობს. თუ რამე კეთდება და ეწყობა რაიონში, მის წყალობითაა.

და ბოლოს, იმედი მრჩება ხელისუფლება არ გადადგამს მოსახლეობისთვის საზიანო ნაბიჯს.

ბორის ღაზითაია,
მწერალი, აკაკი წერეთლის პრემიის
ლაურეატი,
სენაკი



კაცი — ჟურნალისტიკის უდიდესი მოაზარე



საქართველოში დაბრუნებულს, ფრიად სამწუხარო ამბავი დამხვდა... მარადისობაში გადაბრძანებული XX საუკუნის უღამაზესი და რომანტიული საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი, იმ ეპოქის ერთერთი უკანასკნელი მოპიკანი — **ბატონი ნოდარ ტაბიძე!**

კაცი — ჟურნალისტიკის უდიდესი მოაზარე.
კაცი — დიდი პიროვნება, მესტრო და პედაგოგი.

კაცი — უამრავი წიგნის, სახელმძღვანელოსა და მეცნიერული კვლევის ავტორი,

სახელოვანი გვარის სახელოვანი ჩამომავალი.

დიდი გალაკტიონის პირდაპირი მემკვიდრე და მეფე-პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის მკვლევარი.

ბატონი ნოდარ ტაბიძე — უდიდესი პიროვნება და უდიდესი ქართველი — **“წვეთი სისხლისა რომ არ გახლდათ მასში არაქართული!”**

აი, რა კაცი და რა გვარის ქართველი დაჰკარგა საქართველომ!

* * *

ნეტა, იმ მწუხარე დღეს, როგორი დარი იდგა თბილისში?!

ნოდარის დაკარგვის გამო, ნეტა, მთაწმინდაზე რა განცდები დაეფულა **“მთხუცის ლანდის ახლოს მძინარე”** პოეტების მეფეს?

ანუ იქ, **“იმ უსასრულობაში”** ტაბიძეების მწუხარება, რამდენად იგრძნო და იტკივილა **“სივრცეების ბინადარმა — ტიცინამა... “ლექსმა-მეწვერმა”**, ცრემლით რომ გადალექა ცისფერი მიხაკები?!

ეს, ყველაფერი, იქ, ხეციურ საქართველოში!

მაგრამ, აქ?! ამ ვლდისგან ცვეხლი ხომ არ წაეკიდა პოეზიის დენით დანადრულ ჭყვიშის მიწას?

ვინ იცის, იმ სახლ-კარსა და კარ-მიდამოს როგორ უდუნდა გული, **“ცვარიან ბაღაზე გაზრდილი”** თავიანთ პატარა ნოდარისკოს, ასე თვალსადახეღაშა რომ გაეზარდათ და სახელოვანი კაცად მოეკვლიათ, სწორედ, იმ ნოდარს რომ ეთხოვებოდნენ: **“არ მოგვესმოდა სახლიდან მოთქმა, მაგრამ საოცრად ტირიდა სახლი...”**

უდიდესი მწუხარებისგან მსრები უტოკავდა ობლად მდგარ ლურჯთვალა იასამანსაც, ჭყვიშში მცხოვრებ იმ უამრავ ადამიანზე რომ აღარაფერი ვთქვა, რომლებსაც ასე უყვარდათ და ეამაყებოდნენ და რომლებსაც უშუალოდ მოუკვდათ ნოდარი!

* * *

ბ-ნი ნოდარის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ყველაზე სახიერად, ნათლად ბ-ნი ნოდარის განვლილი გზა მეტყველებს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ითქვა, გაცილებით მეტს, უახლესი მომავალი და დიდი მესტროს სიმართლით, სიყვარულითა და სიღამაზით აღზრდილი შეგირდები დაწერენ და მეტს იტყვიან.

მე, მხოლოდ, ერთი მცირე ამონარიდი მინდა მოვიტანო ბ-ნი ტაბიძის წიგნიდან, რომელშიც იგი გალაკტიონს ახასიათებს და რომელიც, ჩემი

ფიქრით, თავად, ბატონ ნოდარსაც აგრერიგად, მიესადაგება:

ნოდარ ტაბიძე: **“გალაკტიონი იმთ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც არასდროს კმაყოფილებიან მიღწეულით”.**

ნ.ნ. — სწორედ, ამ თვისებების მატარებელი გახლდათ დიდი მესტროც. ნოდარ ტაბიძე — **“პოეზიის ლაბორატორიის შესწავლამ დაგვარწმუნა, იგი არამარტო ხალასი ნიჭის, არამედ, ამასთანავე, თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია”.**

ნ.ნ. — ზედმიწევნით და ზუსტად ასევეა ბ-ნი ტაბიძის შემთხვევაშიც.

ნოდარ ტაბიძე — **“გალაკტიონი არ გაურბის “სისხლის დანთხევას, ლექსში, არამარტო მთელს ენერგიას, ფიზიკურ ძალღონეს აქსოვს, რაც ბუნებრივია, იწვევს გადღვას. ნაწილობრივ, იმითაც უნდა აიხსნას მისი უცნაურობა”** (ნ. ტაბიძე — **“გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია”**).

* * *

თავის ბიძისა, გენიალური გალაკტიონისა არ იყოს, **„ნაკლი მასაც ჰქონდა...“**, დიასაც, ბატონმა ნოდარმაც კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი.

ბ-ნი ნოდარის პიროვნების უდიდესი საგანძურია — ღირსება გახლდათ, ყველა დანარჩენ სიკეთესთან, ერთად, სწორედ, ამის პატიება უჭირთ უდიდესთ და სამიზნეში უყვარდათ ამოღება.

ღირსეული და ზნესრული მესტროს საქომავად, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან, უმალ, წამოიშლებოდნენ მისი შეგირდები და გაზრდილები.

მაგრამ, თავად, ბ-ნი ნოდარი იმ თავდასხმებსა და გამოწვევებს, საერთოდ არ, ან იშვიათად, თუ გასცემდა პასუხს და ქომაგობასაც არავისგან ითხოვდა... ყველაზე და ყოველთვის, ყველაფერზე მაღლა იდგა. დააბიჯებდა მუდამ გაწონასწორებული, მშვიდი, მომღიმარი, ზოგჯერ, ოდნავ ირონიითაც, კი...

დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში ბატონი ნოდარ ტაბიძე, თავისი გოლიათური აღნაგობით, ფართო, განიერი მხარბეჭტითა და კაცურკაცობის დამადასტურებელი — თავის სვანური ქუდიო...

სიყვარულით გარემოსილი, დააბიჯებდა სრულიად საქართველოში მუდამ, ზნემაღალი და ღირსეული, ღრმა ნაფხურებს ტოვებდა და საკუთარი ღვაწლის უღამაზეს ისტორიას ქსოვდა და აჩუქებდა მათ.

ესაც ბატონ ნოდართან, ერთხელ მაინც, ჰქონია შეხება, მასთან გატარებულ, ვერც იმ მრავლისმთქმელ და საინტერესო წუთებს დაივიწყებს,

დიდ მესტროსთან ნებისმიერი საქმეც და იდეაც, საოცრად ორიგინალურ იერსახესა და აღმატებულ ხარისხს იძენდა მუდამ:

“ნემო პატარა მეგობარო!” — ასე მოგემართავდა, მაგრამ დიდ მეგობრობას, იქვე — **“გზად და ხიდად”** გთავაზობდა... სულისა და სულიერების უმშვენიერესი გამოძახილი პოეზია გახლდათ, **“პოეზია უპირველეს ყოვლისა!”**

სიცოცხლის კრედიო კი, **“აბა, დღეს, მე, ვის რა ვარგე!”** — მხოლოდ და მხოლოდ, ამ პრინციპით ცხოვრობდა... პოდა, იცხოვრა კიდევ, იმგვარად: შინაარსიანად, ღამაზად და ამადლებულად.

კიდევ, ერთიც: ბ-ნი ნოდარისთვის, რომელიც, აგრერიგად უხდებოდა თბილისის ქუჩებს, **“არ არსებობდა არც სიღამაზე”**; და არც, არანაირი ფასეულობა სიყვარულის გარეშე.

არადა, საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, სიყვარულის საშინელი დეფიციტის გამო იდგა და მტრობისა და სიძულვილის მოურჩენელი ვირუსი მივიწვარებდა სრულიად საქართველოში, ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა და აღამინური ღირსებების მოშლამ და უგულვებლყოფამ, ბევრად საცნაური და ახლობელი გახადა ჩვენთვის ნოდარ ტაბიძის პიროვნება.

და ისიც, რომ ამ დიდებულ ქართველში,

“მხოლოდ სამშობლო რომ განსაზღვრავდა მანძილს კაცის სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის”, ამის საუკეთესო მაგალითად მხოლოდ, ერთ მოვონებას გამოვიხმობ.

* * *

პუტნი ახალი მომხდარია, ეროვნული ხელისუფლება დამხობილი და ტყვეით განდევნილი. თბილისის გული-რუსთაველის გამზირი გადაბუჯული. ქუჩებში საყოველთაო დაუმორჩილებლობა გრძელდება. კანონიერი პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებს ხვრეტენ და საშინელი მეთოდებით უსწორდებიან. მსხვერპლი დღითიდღე იზრდება. კომენდანტის საათია. სკოლა-დაწესებულებები დახურულია. დედაქალაქში სიკვდილს, შიმშილს, სიბნელეს, სიცივეს და შიმშილს დაუსადგურებია...

ერთი სიტყვით, ცოდვის ბორბალი ტრიალებს საქართველოს თავზე და ბოროტებას ფქვავს, უწყალოდ, ქუჩებში კი უამრავი ადამიანი, კანონიერების აღდგენასა და საყვარელი პრეზიდენტის ერთგულებას კვლავაც ეწირება.

* * *

გადავწყვიტე ის სათქმელი, რისთვისაც, ქუჩებსა და მიტინგებზე ტყვიებს გვიშენდნენ, ამჯერად, ჩემს პროფესიულ ენაზე, 1989 წლის 9 აპრილისადმი მიძღვნილ დიდი თეატრალიზებული საღამოთი, პირდაპირ დიდ სცენაზე ვთქვა.

მაგრამ, როგორ? პირველ რიგში შესაბამისად, საჭირო სცენარი შევქმენი.

მერე ბავშვები, 5 წლიდან, მოსწავლეებითა და სტუდენტებით, ქუჩაში **“ავერიფე”**, 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე უსინათლო ქალბატონებიც მოვიძიე და ყველასაგან ფარულად, საკუთარ სახლში, ხუთი თვის განმავლობაში ყოველდღიურ რეპეტიციებს შეუდექით...

შესაშური შედეგი მივიღეთ, თავისი ფორმითა და სათქმელით.

უღამაზესი საღამო გამოვიდა, რომელიც ხუთი თვის შემდეგ, საცხრააპრილოდ, ყველასგან მოულოდნელად, დიდ სცენაზე გადავიტანე. ინფორმაცია მალევე გავრცელდა და **“გაიჭედა”** მყურებელთა დარბაზი **“აქეთა”** და **“იქითა”** მხარის ცნობადი სახეებით. და **“სუკოთაც”**, როგორც მერე გამოჩნდა. და საკუთარ თავზე და საქმეზეც საკმაოდ ვიწვნიე და გამოვცადე, როცა დარბაზი გადაიჭედა.

ამ საღამოზე, ჩემი მოწვევით, რასაკვირველია, ამ მოვონების გმირი ბატონი ნოდარ ტაბიძეც ბრძანდებოდა.

არადა, ესაა პერიოდი, როცა იარაღით განდევნილი კანონიერი პრეზიდენტის, საქართველოში უკან დაბრუნების ალბათობა აძრწუნებდა და შიმშის ზარს სცემდა როგორც სისხლიანი გადატრიალების ავტორებს, ასევე, მის დია თუ ფარულ მონაწილეთ, ღამის, მზად რომ ჰქონდათ ჩემოდნები ქვეყნიდან გასაქცევად.

* * *

ყველაფერი შესანიშნავად მიდის სცენაზეც და მყურებელში არის უამრავი ცრემლი, ემოცია. სცენარის მიხედვით, დადგა დრო — საქართველოს (პირველი და უკანასკნელი) კანონიერი პრეზიდენტი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას რომ ამცნობს სრულიად საქართველოს, რასაც, არავინ მოელოდებოდა დარბაზში:

“9 აპრილის დაღუპულთა სულები დაგვცქვიან ზემოდან!” — გაისმა ბატონი ზვიადის ფოლადისებრი მჭკქარე ხმა... **“გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ჩვენთან არს ღმერთი!”**

მყურებელთა დარბაზი გაუთვით-ცნობიერებელმა დაბნეულობამ მოიცვა... წამიერმა იდუმალბამ გადაუქროლა და გააქვავა...

მერე, ერთბაშად გამოერკვა, ახმაურდა, ანოქილდა... ეს, ყველაფერი წამებში... მოხდა.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც, არაფერი, არც ის სამარისებური **“განცდები”**, არც

“სუკისა” და საკუთარი მდგომარეობის დაკარგვის შიში და მსგავსი რამეები არაფრად ჩაუგდია, ის ერთადერთი ადამიანი, ვინც, პრეზიდენტის ხმის გაგონებისთანავე, უმალ, აღტაცებული ფეხზე წამოიჭრა და ეს აღტაცება ტაშით დაავიროვნა ბატონი ნოდარ ტაბიძე გახლდათ.

(საბედნიეროდ, ეს ყოველივე ფირზეცაა აღბეჭდილი).

არადა, ბატონ ნოდარს მართლა, ბევრი რამ ჰქონდა დასაკარგი.

კიდევ, ბევრი რამის გამოხმობაა შესაძლებელი... მასზე მოვონებებს, ნეტა რა სჯობს, ან რა გამოლევს.

* * *

ახლა, შემოდგომა ჩვენს ქალაქში, ბატონო ნოდარ!

მართალია, მზიანი დარი დგას, მაგრამ, ზედ სველასა და მონატრების ფერები დასთამაშებს თქვენი მონატრების ფერები...

მალე, **„დაბეგრავს, რისხვით დაბეგრავს ქარი“**...

ის წითელ-ყვითელი ფოთლები ერთმანეთში აირვიან, აშრილდებიან და **„ქარდაქარ“** თქვენი სამყოფელისაკენ დაიძვრებიან.

მერე?!

მერე, იმ მარჯან-ზურმუხტის ფერებით შემოგეხვევიან, ბევრს ძალიან ბევრსაც მოგეფერებიან... ჩვენს ტკივილსაც და იმასაც, თუ როგორ გვიყვარხარ და რა საოცრად გვენატრები — ჩუმად ჩურჩულით გაგანდობენ, რომ...

**ქარვათა
მოკავში
დაეშვა
ფარღები,
სალამო
კანკალაებს
შიშით და
რიღობით,
სალამო
ნელდაბა
და კვდაბა
პარღები,
მშვიდობით,
მშვიდობით,
მშვიდობით!**

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა, საქართველოს და ტაბიძეების გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ჩვენო უსაყვარლესო, ბატონო ნოდარ! მშვიდობით!

ნაზი ნაზროზაშვილი,
მსახიობი

კონსტანტინე გამსახურდიას ბენიალური აზრები



მოვიტრები, კვლავ ვეძებთ და ვეძებთ, სანამ მათ სისუსტეს ამ დამანახებდა მათთანვე ბრძოლა.

8. ყველაზე უფრო ძნელი დასაბჭრობა კაცთათვის საკუთარი გული და ვინც ამას ზედმიწევნით შესძლებს, იგია უბედნიერესი ამ ქვეყნად.

9. ეს ცხოვრება ბაღის ნიფხავსა ჰგავს – მასავით მოკლე და დასერილია.

10. ვისაც ნამდვილი სიყვარული გამოუცდია, მას უგემია თავად სიკვდილიც, ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად, სიყვარულია ალბათ ის ღმერთიც.

11. ჩვენი უბედურება ეგაა – სხვის ფანდურზე ბუქნობა გვიყვარს.

12. ადამიანი შეკითხვებშიაც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში.

13. არასდროს აჩქარებულად არ უნდა წამოიწყო დიდი საქმე, თორემ უთუოდ დაჩქარებ ხელის მოცარვას.

14. არასოდეს წამოგდეს, რომ შენ სხვას სჯობიხარ, მაგრამ არც ის და გავიწყლეს, რომ შენ უფლისწული ხარ და არც იმისთვის ხარ დაბადებული, რომ მუდამ სხვებს მიბადო.

15. ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნებული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

16. ხელოვნებაა თვით უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. ათასწლიანი წლები წაღებულ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი.

17. ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი. ვერც იგი გახდება ოდესმე ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში.

18. ოდითგანვე ასე მოგვდამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგვკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

პატრიარქის 10 დამაფიქრებელი ფრაზა...

1. ბევრი ამბობს, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს შეცდომაა. როგორ შეიძლება შეეწინააღმდეგოს სულის შემსწავლელი ხორცის შემსწავლელს, პირიქით მათ ერთმანეთი უნდა შეავსონ.

2. ადამიანები უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრობენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჰეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძებენ ბედნიერებას მონღელების, ფუჭს, წარმატებას, ბედნიერებას, რომელსაც თან სდევს უბედურება.

3. ვიცით კი ჩვენი არსებობის მიზანი, ვიცით, ვინ ვართ, საითკენ მივდივართ, რა მოგველის? ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: **„უჭამ იმისათვის, რომ ვიარსებო და არა ვარსებო იმისათვის, რომ უჭამო“**. მართლაც რისთვის ვარსებობთ: კარგი სმ-ჭამისათვის, ჩაცმად-დასვენებისათვის, თუ ჭამა-სმა და დასვენება რაღაც სხვა, უფრო დიდი მიზნისთვის გვჭირდება?!

4. ინგლისური ზღაპარი მოგვიხსობს: კატა დიდხანს ემზადებოდა ღონღონში წასასვლელად, რათა დედოფალი ენახა. როგორც იქნა, აისრულა წადილი, მაგრამ თავის გარდა იქ ვერაფერი ნახა, რადგან, როგორც კი თვალის მოკრა, მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა. ხშირად ადამიანი იმ კატის მსგავსად იფიქრებს მთავარ მიზანს და მთელი გული და გონება პატარ-პატარა მიწიერი საზრუნავისკენ აქვს მიპყრობილი.

5. საოცარი ის არის, რომ ვინც ეხმარება, იმას უფრო უხარია, ვიდრე ვისაც ეხმარებიან. საკითხავი ის არის – ჩვენ ვეხმარებით თუ ისინი გვეხმარებიან?

6. ზოგიერთი ადამიანი ოცნებობს, ნაკლები იმუშაოს და ბევრი მიიღოს, მაგრამ დასვენებით რომ დატკბე თავდაპირველად უნდა დალდა იტრინო.

7. მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა იოლი არ არის. ჩვენს



გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს.

8. ამქვეყნიური ცხოვრება ღვთისგან მომადლებული ძვირფასი ნიჭია. ჩვენ კი ხშირად ვივიწყებთ ამქვეყნიური ცხოვრების ხანმოკლეობას, ხან წარსულზე ვდარდობთ, ხან მომავალს შევეყურებთ დიდი იმედით და აწყო ამ უნაყოფო დარდსა და ოცნებებში გადის.

9. თუ ჩვენ ბედნიერება გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ ბედნიერება – ეს არის სიხარული, სიხარული კი სიყვარულისგან მომდინარეობს, რაც მეტ სიყვარულს გასცემს ადამიანი, მით უფრო მეტად ივსება ამ გრძობით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ის კი არ უნდა გვიყვარდეს, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, არამედ – ყველა.

10. ცხოვრება, მართალია, ხანმოკლეა, მაგრამ თუ მოინდომებ, სახელი შენი იქნება მარადიული...

ჩატარდა სპეცოპერაცია – პოლიციამ ბიზი თარგამაძის მანქანის ავთოქონიზაციის უკმარისობის კვლევას დაიწყო

უკანასკნელი ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, გლდანის ერთ-ერთ მიკრორაიონში სპეცოპერაცია ჩატარდა.

ადგილზე იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, კრიმინალური პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლები. სავარაუდოდ, პოლიციამ გივი თარგამაძის მანქანის ავთოქონიზაციაში ექსპერტიზის კვლევას დაიწყო. მათივე ინფორმაციით, სპეცოპერაცია კიდევ რამდენიმე ადგილას მიმდინარეობდა. როგორც ჟურნალისტი ადგილიდან იტყობინება, სპეცოპერაცია ჩატარდა ყოფილი სოფლის თანამშრომლის დარჩილ ხენუაშვილის ბინაში. სავარაუდოდ, ერთ-ერთი ექსპერტიზის სწორედ ხენუაშვილია. მისი მეზობლების თქმით, აღნიშნული პირი ბოლოს ხანს ტაქსიზე მუშაობდა და ასე ირჩენდა თავს.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ტერორისტი მანქანის ავთოქონიზაციის გაუმჯობესება უკრაინაში, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ხენუაშვილს მჭიდრო კავშირი გააჩნია ყველაზე დიდ დაშნაკ-ტერორისტთან მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც უახლოესი თანამებრძოლი თარგამაძე გასწირა, რათა ავთოქონიზაცია გამოეწვია და ექვსი ქვემ დაეყენებინა საქართველოში მშვიდობიანი არჩევნების ჩატარების პროცესს.

გამოძიება გრძელდება და მალე, ალბათ, მრავალი საინტერესო მოვლენისა და ფაქტის მოწმენი გავხდებით.

“კონფიზა” ნიკა გვარამია შესაძლოა 5.000 ლარით დაჯარიმდეს!



“ნიკა გვარამია არის დამნაშავე, რომელმაც დაარღვია კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ” – ამის შესახებ იურისტმა სოფო ხორგუანმა საინფორმაციო სააგენტო “მარშალბრესი“-ს პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.

კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლესთან კომუნიკაციის შესახებ 2007 წელს იქნა მიღებული, რომელშიც გაწერილია ის კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება კომუნიკაცია მოსამართლესთან.

მუხლი 3. მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობა

1. საქმის სასამართლოში შესვლის მო-

მენტთან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილეობა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდოდ შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

1. საქმის სასამართლოში შესვლის მომენტთან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილეობა, დაინტერესებულ პირთა, საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდოდ შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს (ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან).

მუხლი 9. პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურისა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის დაჯარიმება

1. პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას არა უმეტეს 5.000 ლარისა.

2. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას არა უმეტეს 10.000 ლარისა.

მუხლი 4. მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) პასუხისმგებლობა

1. მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის შემთხვევაში მოსამართლე უკმარისად აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მიერ უფლებამოსილ მოსამართლეს.

თუ კომუნიკაცია განხორციელდა სასამართლოს თავმჯდომარესთან, სასამართლოს თავმჯდომარე აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებს ზემდგომ ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მიერ უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ კომუნიკაცია განხორციელდა საქართველოს უზენაესი

სასამართლოს მოსამართლესთან, იგი აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილ მოადგილეს. თუ კომუნიკაცია განხორციელდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, იგი აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

2. კომუნიკაციის თაობაზე წერილობით შეტყობინების განხილვაზე უფლებამოსილი მოსამართლე, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლესთან ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის შემთხვევაში პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენოს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაჯარიმების შესახებ;
- ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წინაშე დასვას მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

კავლავ ჭიკაშვილი: ნაცები ოსალათის ახეზურაა!

სააკაშვილის „ხელისბიჭმა“ ლევან ვარშალომიძემ ერთ-ერთ თურქულ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა: „როგორც შავიხელისპირელი, აღვნიშნავ, რომ ქართველი და თურქი ხალხი არის ერთი ხალხი ორ სახელმწიფოში!“ ამ სიტყვების კომენტარისთვის პოლიტოლოგ ბატონო ჰამლეტ ჭიკაშვილს დაუკავშირდით.

– ბატონო ჰამლეტ, ლევან ვარშალომიძე, როგორ ცნობილია, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობისთვის იბრძვის და ეს სულელურ ვნებებში გართულს ხომ არ წამოსცდა?

– ლევან ვარშალომიძის გონებრივ შესაძლებლობებზე დიდი წარმოდგენისა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ეს განცხადება შემთხვევითი წამოცდენა არ უნდა იყოს! თუნდაც იმიტომ, რომ ყველას ახსოვს, რას ამბობდა ვარშალომიძის ფიურერი სააკაშვილი: როგორც დედანმისგან ვიცი, თურქეთი საქართველოს მტერი კი არა, ისტორიული მეგობარია! თითქოს ოსმალეთს ჩვენი უზარმაზარი ტერიტორიები არ წაურთმევეა და სისხლიც არ გაუშრია ჩვენთვის საუკუნეების მანძილზე!

– იქნებ თურქეთმა კი არ წაგვართვა, „შემოვიგინა“ ტალკლარჯეთი?

– (იცინის) კი, ისე „შემოვიგინა“, რომ იქ ტოტალურად გათურქდა ყველა და ყველაფერი!

შეგარდნადის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელად. სწორედ მაშინ დაიწყო, ასე ვთქვათ, საზღვრების გახსნა. არაერთ სარფსიქითა აჭარელს შეგხვედრივარ და მიკითხავს მათთვის: „არ გსურთ დედასამშობლოში დაბრუნება?“ არცერთს არ უთქვამს დადებით პასუხს! ისინი თურქებად მიიჩნევენ თავს! და თურქებთან მიმართებაში რომელ „ერთ ხალხზე“ ლაპარაკი, როცა ჩვენი, „თურქი აჭარლებიც“ კი, ასე ვთქვათ, განზე გვიდგებიან.

– აბა, ვარშალომიძემ რატომ თქვა ეს?

– იმიტომ, რომ ამით კოჭი გაუგორა სააკაშვილს, დედამისს... იმ ათასობით თურქსაც ნუ დავივი-

წყებთ, სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეობა რომ ჩამოურიგა – ეს საარჩევნო ხმებია!

– მაგრამ რამდენიმე ათასი თურქის ხმის მისაღებად ასეთი განცხადებებით ნაცები ხომ მთელ საქართველოში კარგავენ ხმებს?

– ნაცები ოსმალეთის აგენტურაა! სააკაშვილი ძალაუფლების დასაბრუნებლად თურქეთს კი არა, ეშმაკსაც შეეკერება! სააკაშვილი ძალაუფლების დაბრუნებისთვის აჭარასაც გაყიდის და გურიასაც!

და მე იმ აჭარლისა რა ვთქვი, ასეთი მოლაღატური განცხადების შემდეგ ლევან ვარშალომიძეს და ნაცებს ხმას რომ მისცემს!

ასლან აბაშიძის დროს ბათუმში თურქს წამლად ვერ ნახავდით, ახლა კი ნახეთ, რა ხდება!

– სხვათაშორის, აჭარაში ძალაუფლების მოსაპოვებლად ასლან აბაშიძესთან დაპირისპირების დროს სააკაშვილი, როგორც ცნობილია, ბათუმის საპარტო დაბომბვასაც აპირებდა!

– დიას! მე ეს ყურის მოკერით კი არა, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლისგან ვიცი! 2004 წლის აპრილის ბოლოს ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა მითხრა – სააკაშვილი უკრაინაში რუსული ვერტმფრენი შეარემონტა და ბათუმში ასლან აბაშიძის რეზიდენციის დაბომბვას აპირებსო! ათიოდე დღეში აჭარაში მართლაც დაიწყო „ვარდების რევოლუცია-2!“ ასე რომ, სააკაშვილი ძალაუფლებისთვის ყველაფერს მკადრებელია!

– არადა, მისი მონები სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას ადარებენ...

– უკაცრავად, მაგრამ ეს ვარშალომიძის სისულელეზე არანაკლები სისულელეა! სად ზვიადი და სად სააკაშვილი? მე ვმუშაობდი ზვიადთან და კარგად ვიცი, რომ ზვიად გამსახურდიას საქართველოსთვის თავდადებული პატრიოტი იყო, სააკაშვილისთვის კი საქართველო ტერიტორიაა, სადაც თავის ავადმყოფურ ვნებებს დაიკაფოფილებს!

– დავით ბერძენიშვილმა განაცხადა – ბიძინა ივანიშვილი სულ უფრო ემსგავსება ასლან აბაშიძეს!

– ისევე აბსურდული პარალელია!

სად ასლან აბაშიძე და სად – ბიძინა ივანიშვილი?!

– ანუ ბერძენიშვილი აზრით, ივანიშვილი ასლანივით ავტორიტეზისკენ მიდისო!

– ასლან აბაშიძეს, მართალია, ჰქონდა გადახრები ერთპიროვნულობისაკენ, მაგრამ ის თხემით ტერფამდე პატრიოტი კაცია! ასლანი, ბოლოს და ბოლოს, მემედ აბაშიძის შვილიშვილია – იმ ოჯახის წარმომადგენელი, სიცოცხლე რომ არ დაუშურებია სამშობლოსათვის!

ასლანმა თავის დროზე გადაარჩინა ქართველი ინტელიგენცია, როდესაც აჭარაში სასათაურე პირობები შეუქმნა! ჩემი თვალთ მივს ნანახი ის უზარმაზარი ამბები, თბილისიდან ბათუმში რომ დაიარებოდნენ! ასლანი მათ არა მხოლოდ სპექტაკლებს უფინანსებდა, პონორარებს უხდიდა, არამედ ისედაც ეხმარებოდა ფულით! თუმცა, შემდეგ ყველამ გაყვია!

მე გეტყვით, რატომ სძულთ ასე ბერძენიშვილებს ასლანი: ასლან აბაშიძეს ძმები ბერძენიშვილების „კაგებეს“ აგენტობის რამდენიმე ტომიანი საქმე ჰქონდა! ერთხელ მეც მანყვანა – წაიკითხე, ესენი ვინ არიანო! გადაავლე თვალი და, ბოდიში და, კინაღამ გული ამერია! აი, ამიტომაც სძულთ ბერძენიშვილებს ასლანი!

და სხვათაშორის, ეს რესპუბლიკელებიც ნაცებზე არანაკლები „პროოსმალისტები“ არიან! გაიხსენეთ, როგორ თავგანწირვით დაუჭრეს მხარი რესპუბლიკელებმა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას და როგორ გვიმტკიცებდნენ, სულეიმანი კეთილი სულთან იყო!

ასე რომ, დავით ბერძენიშვილი (რომელიც ასევე კენჭს იყრის აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე) და მისი პარტია ნაცების „სულიერი ძმები“ არიან! ჰოდა, ნუ გაგიკვირდებათ, თუ აჭარაში რესპუბლიკელები და ნაცები ერთობლივად მოაწყობენ ანტი-სახელმწიფოებრივ შეთქმულებას.

ესაუბრა ბიორბი ბიზაშვილი

კულტურულ მემკვიდრეობაზე სასაუბროდ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს სვლიან

ქართველი ისტორიკოსის ზურაბ ბრაგვაძის ინიციატივით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის განსახილველად აფხაზ კოლეგებთან შეხვედრები ეწყობა.

მისი თქმით, შეხვედრები არაოფიციალურია და მასში ქართველი და აფხაზი ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და სხვა სპეციალისტები მონაწილეობენ. ბრაგვაძე შეხვედრების ორგანიზაციულ საკითხებზე საუბრისგან თავს იკავებს.

ზურაბ ბრაგვაძე ამბობს, რომ აფხაზ კოლეგებთან გამართულ შეხვედრებზე, აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა განიხილება.

„მე და რამდენიმე ჩემი თანამოაზრე ვიყენებთ პირად კავშირებს ჩვენს აფხაზ კოლეგებთან. ვაწყობთ შეხვედრებს ინტენსიურად. გვაქვს საუბრები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ყოველგვარი პოლიტიკური კონტექსტის გარეშე, მაგრამ როდის დადგება რეალური შედეგი, გულახდილად გეტყვით, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ეს დრო დრომ უნდა მოიტანოს. ეს ხომ ძალიან სენსიტიური თემაა. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ერთერთი გამომწვევი მიზეზიც ხომ კულტურული მემკვიდრეობა იყო“, – უთხრა „ლაიფვარსს“ ზურაბ ბრაგვაძემ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა აფხაზეთის სურთომოდერული ძეგლების შესახებ ელექტრონული რუკა შეიმუშავა.

რუკაზე 150-ზე მეტ არქიტექტურულ ნაგებობაზეა ინფორმაცია განთავსებული, მითითებულია მათი კოორდინატები და ამჟამინდელი მდგომარეობა.

რუკის შედგენაზე მუშაობა 2015 წლიდან დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში იყო მცდელობა ეთანამშრომლათ აფხაზურ მხარესთან, მაგრამ ირაკლი გელენავას განმარტებით, ამ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდა.



როგორ წარმოვაქონო იმ პატიმარი ქალების ბედი, ვინც მიხილ სააკაშვილის რეჟიმმა საოპერაციო მაგიდასთან მიიჭყუა?..



„პროკრატია“ ქალთა დაწესებულება უყურადღებოდ დატოვა და იქ მომხდარი მოვლენები მაყურებელს არ გააცნო. მისი თქმით, მას სურვილი აქვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეჟისორს შეხვდეს და ქალ ყოფილ პატიმრების გაუსაძლის მდგომარეობაზე ესაუბროს.

ყოფილი პროკურორი გამოცემასთან, იმ სისასტიკეზე საუბრობს თუ რა ვითარება იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ქალთა ციხეში. მისი თქმით, მაშინ ქალთა ციხის მთავარი ექიმი თეა ჭინჭარაული იყო.

როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი აცხადებს, მას ციხის მთავარმა ექიმმა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვა, თუმცა ექიმის რჩევას ოპერაცია გაეკეთებინა, არ დასთანხმდა. ხოლო, როდესაც იგი, 2013 წელს საპატიმროდან გაათავისუფლდა, სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა და მას სიმსივნე საერთოდ არ აღმოაჩნდა. მისი თქმით, სიმსივნე არც არასდროს არ ჰქონია.

ნანა თხელიძის ინფორმაციით, 2011-2012 წლებში, სტატისტიკურად პატიმარ ქალებს იმაზე ბევრი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარეს, ვიდრე რეჟიმის მმართველობის სხვა წლებში საერთო ჯამში არ ჩატარებულა.

მისი თქმით, ოპერაციის შემდეგ პატიმარი ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა, ხოლო ვინც ოპერაციაზე უარს აცხადებდა, ისინი გადაარჩნენ.

„თუ ადრე პატიმარი ქალები ოპერაციის მოლოდინში თავიანთ საკნებში, ნარებზე მიწოდებულ იხილებოდნენ, სიტუაცია პოლიტიკურად შეიცვალა 2011-2012 წლებში. ისეთი დღეებიც მახსოვს, 10-15 ქალი ერთდროულად გაუყვანიათ სხვადასხვა ოპერაციის გასაკეთებლად. ფილმში ასახვამდე ეს ეპიზოდები სასწრაფოდ ჯერ პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. ცალკე უნდა იქნეს განხილული ყველა ქალის ავადმყოფობის ისტორია, რომლებიც რეჟიმმა საოპერაციო მაგიდაზე აიყვანა. ოპერაციებისთვის გაწერილი იყო თანხები და ამ თანხების ათვისების მიზნით პატიმარ ქალებს საოპერაციოდ გზავნიდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა ოპერაცია სულაც არ სჭირდებოდათ! ფულის გათეთრება ხდებოდა.“

პირდაპირ გადავიტანე არნახული ზეწოლა, რათა ოპერაციის გაკეთებას დაეთანხმებოდნენ, რადგან განაჩენივით დამისვენს სიმსივნის დიაგნოზი, მაშინ ქალთა ციხის მთავარი ექიმი იყო ჯალათი თეა ჭინჭარაული, რომელმაც ჩემს ოჯახზე ზემოქმედება დაიწყო. რათა დაუყოვნებლივ გამეკეთებინა ოპერაცია, თუ დაუყოვნებლივ არ გაგიკეთებდით, თავს დავიდებოდა! თავიანთივე ექვი შემეპარა ამ დიაგნოზში, რადგან ზურაბ ადვიშვილის მიხედვით, პირადი პატიმარი ვიყავი და ვივარაუდებ, რომ შესაძლოა ჩემი ლიკვიდაცია ჰქონდათ განზრახული, რისთვისაც ყველაზე „უწყინარი“ ფორმა საოპერაციო მაგიდაზე

სიკვდილი იქნებოდა. თავიდანვე გაგვიქვია, იმის მიუხედავად, რომ თეა ჭინჭარაული დღემდე სხუთხედავ მაწვარიანება ხელს საბუთზე, რომ ოპერაციაზე უარს გამო, ჩემი სიკვდილის შემთხვევაში ის პასუხისმგებლობას იხსნიდა. ესეც ზეწოლის ფორმა იყო. მე ხომ მაშინ არც კი ვიცოდი, რომ არანაირი სიმსივნე არ მჭირდა და უამრავი სხვა პატიმრის მსგავსად, ურცხვად მატყუებდნენ! ოპერაციას თავიდან ვირიდებდი იმის გამოც, რომ ვხედავდი, როგორ დამიძლიდა იმ ქალებს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვინც ადმინისტრაციას ოპერაციაზე დასთანხმდა“ – აცხადებს ნანა თხელიძე.

5 წლის შემდეგ, ყოფილი პატიმარი აცხადებს, რომ „კავიით“ ჯანმრთელია და სიმსივნე არც არასდროს ჰქონია.

„ოპერაციას რომ დავთანხმებოდი, გარკვეული ორგანოები ჩემთვის, თურმე სრულიად უმიზეზოდ უნდა ამოეკვეთათ! ვიცი, როგორ წარმოვაქონო იმ პატიმარი ქალების ბედი, ვინც მიხილ სააკაშვილის რეჟიმმა საოპერაციო მაგიდასთან მიიჭყუა! ისიც ვიცი, რომ რამდენიმე პატიმარი ქალი, რომლებიც ჩემსავით გაჯიუტდა და დასმული დიაგნოზის მიუხედავად, ოპერაცია არ გაიკეთეს, დღეს ასევე მრთელები არიან“ – ამბობს ყოფილი პროკურორი ნანა თხელიძე გაზეთ „საგავლ-დასავლათან“ ინტერვიუში და პროკურატურას თხოვს მიმართავს, რომ დაუყოვნებლივ გამოიძიონ ეს ფაქტები.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორგი ჯალალანია ისტორიკოსი: ქართველი ფეხბურთელების არსებითი ტრანსფორმაცია ევროპულ ბრანდებში

(გაგრძელება წინა ნომრიდან) საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი პირველი მკარე აკაკი დევაძე „როსტოვში“ თამაშობდა, მოსკოვის „დინამოსა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ვარიანტები რომ გაუმხილეს. ესპანეთში სინჯებზე უნდა ჩასულიყო. მაშინ „ატლეტიკოს“ მკარე ესპანეთის ნაკრების წევრობის კანდიდატი უნსუე გახლდა.

დევაძე იხსენებდა, კონკურენციის არ შემქმნებია, მაგრამ „როსტოვის“ პირველი მკარე ვიყავი, ფინანსურად არაფერი მიჭირდა და სინჯებზე წასვლა ვიუკადრისყო. არადა, წლების შემდეგ ნანობდა, უფრო მაღალ დონეზე თამაშის შანსი რომ დაკარგა.

ამ სიას გიორგი ლორია დამატა, რომლითაც წლებულს ინგლისში დაინტერესდნენ. მაგრამ, როგორც გიორგი ქინქლაძემ გვითხრა, ტრანსფერზე სერიოზული მოლაპარაკება არც დაწყებულა, რადგან ფიფას რეიტინგში 70-ე ადგილზე დაბლა მყოფი ნაკრების წევრის თამაში დიდ ბრიტანეთში აკრძალულია. ჩვენ კი ვიცით, სადაც ვართ...

გერმანული ვარიანტები

მაშუკა წერეთელის კარიერა ქვეყანაში არსებულმა განუკითხობამ შეიწირა. 21 წლის იყო, როცა ვლადიკავკაზის „ალანინას“ და საქართველოს ნაკრების ცენტრალურ მცველს მიონსენგლადბახის „ბორუსიამ“ 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ თბილისში ჩამოსულ ფეხბურთელს სადარბაზოში იარაღი დაადეს და ახალი BMW-ს გასადები მოსთხოვეს. წერეთელმა ნიღბიან ყანალებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ფეხში დაჭრეს. შედეგი სავალალო აღმოჩნდა – დიდი მონღოლებისა და მცველობის მიუხედავად, 21 წლის ნიჭიერმა მცველმა ნატყვიარი ფეხით ვედარ თამაშა, „ბორუსიასთან“ კონტრაქტიც გაწვდა და რეალურად, კარიერაც დაასრულა.

1994 წელს გონა ჯამარაულს გერმანულ „კიოლნიში“ გადასვლის რეალური შანსი ჰქონდა. მაგრამ დღემდე არ ამბობს, რატომ ჩაიშალა მაშინ მოლაპარაკება.

შოთა არველაძემ კი გერმანული ფეხბურთის იმდროინდელ გრანდ „ლევერკუზენზე“ საკუთარი ნებით თქვა უარი. შოთა მაშინ „ტრაზონსფორის“ ლიდერი იყო. „ლევერკუზენს“ მაშინდელი თავკაცი კრისტოფ დაუმი მანამდე თურქულ „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა და ქართველს კარგად იცნობდა. არველაძეს ტყუპისცალ არჩილთან ერთად სურდა წასვლა, რაზეც ლევერკუზენელებს ვერ შეუთანხმდა და ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა.

„ცხინვალის“ ამჟამინდელი დამრიგებელი, კახა კაჭარავა გერმანიის რეგიონული ლიგის „ტენის ბორუსიაში“ თამაშობდა, როცა პოპულარულ კლუბ ფრანკფურტის „აინტრახტში“ გადასვლა შესთავაზეს. მაგრამ „ტენის ბორუსიაში“ იმხელა თანხა მოითხოვა, „აინტრახტმა“ ტრანსფერზე უარი განაცხადა.

„ხესტაფონის“ ამჟამინდელი პრეზიდენტი ილია კოკია საფეხბურთო სამყარომ 1997 წელს, ლევან კობიაშვილის ჩაშლილი ტრანსფერიდან გაიცნო. მაშინ ფიფას აგენტ-ი კოკია 19 წლის ფეხბურთელის დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადაყვანას ცდილობდა, რომელმაც იმ წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო და საკონტინენტთაშორისო თასსაც დაუფულა. მაგრამ „დინამოში“ კობიაშვილი იჯარით ჯერ ვლადიკავკაზის „ალანინაში“ გაუშვა, შემდეგ – გაცილებით მიერძალეზულ „ფრაიბურგში“ გაყიდა.

კარიერის დასრულების შემდეგ კობიაშვილმა სხვა უცნობი მოლაპარაკებებიც გაიხსენა. თურმე, მიუნხენის „ბაიერნი“ ორჯერ იწვევდა. პირველად – „ფრაიბურგში“ თამაშის დროს. მაშინ ქართველს „ბაიერნი“ მარცხენა მცველის, საფრანგეთის ნაკრების წევრის, ბიქსენტ ლიზარაზუს შემცველად ამზადებდნენ. მაგრამ ტრანსფერი „ბაიერნი“ დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა ჩაშალა.

მეორედ კობიაშვილს „შალკეში“ თამაშის დროს დაუკავშირდნენ და კონტრაქტის დეტალები შეუთანხმეს, მაგრამ საბოლოოდ „შალკეში“ დარჩენა ამჯობინა.

ბრიტანული ვარიანტები

ზურაბ ხიზანიშვილის უიღბლობა „რომაში“ ჩაშლილი ტრანსფერით არ დაწყებულა. თბილისის „ლეოკომოტივის“ მცველი 18 წლის იყო, ეროვნულ ნაკრებში რომ მიიწვიეს, იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ამ დროს მისით „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი დაინტერესდა.

ლონდონელები მილიონ დოლარს იხდინენ. ფეხბურთელის მამა, ვეტერანი დინამოელი ნოდარ ხიზანიშვილი იხსენებდა – მერე შემოგვითვალეს, დაინტერესებულნი აღარ ვართ, რადგან „ლეოკომოტივმა“ დიდი თანხა (როგორც ამტკიცებენ, ქართულმა მხარემ ტრანსფერის საფასურად 6,5 მილიონ დოლარი დასახელა) მოითხოვა.

1989 წელს, თბილისის „დინამომ“ ბრიტანული ტურნეს დროს შოტლანდიურ „პართს“ 20 მოუგო. თავი კახი გოგიჩაიშვილმა და კახა კაჭარავამ გამოიჩინეს. შოტლანდიელებმა მათი დატოვება მოისურვეს. მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იწყებოდა და არ გაუშვეს.

გოგიჩაიშვილს ბრიტანეთში 1996 წელსაც იწვევდნენ – ის და გონა ჯამარაული „საუთჰემპტონში“ გახსნიეს კიდევ და დატოვებაც სურდათ, მაგრამ ინგლისელებმა „დინამოსთან“ თანხაზე ვერ მოილაპარაკეს.

1994 წელს კახა ცხადაძემ ბუნდესლიგაში ჩინებული სუბონი ჩაატარა და „ვიკერმა“ „ჰაერის მეფედ“ მოიხსენია. „მეორე სართულზე“ კარგად მეტროლი ცენტრალური მცველის გადაყვანა „ლევერპულმა“ მოინდომა. მაგრამ ცხადაძე მძიმედ დაშავდა და ინგლისური ვარიანტი გამოირიცხა...

1997 წელს, ცხადაძეს კიდევ ერთი შანსი მიეცა, „ვესტ ჰემთან“ წინასწარი კონტრაქტიც შეთანხმა, მაგრამ კატოციცეში პოლონეთთან საქართველოს ნაკრების მიერ განცდილი მარცხის (1:4) შემდეგ, ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელებს დაერია. როგორც ამბობენ, ინგლისელებს ცხადაძეზე ცუდი დახასიათება გაუზავნეს და ლონდონელებმა „ჯვაროსნების“ ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ კაპიტანთან კონტრაქტის გაოფიციალურება აღარ ისურვეს.

2012 წელს კი ინგლისურ გრანდში ქართველი მოსკოვის „სპარტაკმა“ არ გაუშვა – ჯანო ანანიძეს „არსენალში“

არსენ ვენგერი იწვევდა, რაც პირადად აქვს ნათქვამი.

1996 წელს „მანჩესტერ სიტი“ ინგლისის პრემიერლიგას დაემშვიდობა და გიორგი ქინქლაძით „ლევერპული“ დაინტერესდა. მაგრამ ქართველმა კლუბს და მის ფანებს ვერ უღალატა, გუნდს ჩემპიონშიფში გაჰყვა და ბევრად მაღალ რანგში თავის გამოჩენის შანსი დაკარგა.

ჩვენ და პირველები

ქინქლაძეს კარგი ვარიანტები მხოლოდ ინგლისში არა ჰქონია. 1994 წელს მან „ბოკა ხუნიოსში“ 3 შეხვედრაც ჩაატარა. საერთაშორისო ცნობარებში მითითებულია, რომ „ქართველი მარადონა“ არგენტინულ გრანდში თბილისის „დინამომ“ გაანათხოვა. სხვათა შორის, მაშინ ამბობდნენ კიდევ – ქინქლაძემ თვით მარადონაც მოხიბლათ...

მაგრამ გიორგიმ კლუბი დატოვა – არგენტინელები „დინამოს“ სასურველ თანხას ვერ გადაუხდინდნენ. ერთი წლის შემდეგ ქინქლაძე უკვე მადრიდის „ატლეტიკოში“ ვარჯიშობდა. მაგრამ იქიდანაც წამოვიდა, როცა „მანჩესტერ სიტი“ დაინტერესდა და თბილისურ კლუბს 3,2 მილიონი დოლარი გადაუხადა.

მიხეილ აშვეთია 18 წლის იყო, მენჯურმა კაპიტან ნემოს რომ დაამსგავსა და ლამის მთელი ევროპა შემოატარა. აშვეთია 5 თვე მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიშობდა და აგენტი კლუბს ფულზე ვერ მოეღაპარა. იქიდან იტალიურ „ბრეშაში“ გადაიყვანა, ბედი ვარშავის „ლეგიაშიც“ სცადა, „მოგზაურობა“ კი პორტუგალიურ „ბოავიშტაში“ დაასრულა, სადაც იმ დროს პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი ნუნუ გომეში თამაშობდა.

მისი საკითხი წყდებოდა, როცა უთხრეს, რომ მოსკოვის „სპარტაკი“ კონტრაქტს უფორმებდა და მეტ თანხას იხდიდა. მენჯური „ბოავიშტას“ პასუხს არ დაელოდა და ახალგაზრდა ფორვარდი რუსეთში გადააფრინა. მაგრამ მოსკოველებს ფულზე ვერც ამჯერად შეუთანხმდა და ამ ვოიაჟების შემდეგ აშვეთია კვლავ ქუთაისის „ტორპედოში“ აღმოჩნდა.

გამოვიდა სერგეი კრავლიოვის ნიგნ „ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრავლიოვის წიგნისა „ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი“ (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი „კავკასია“, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იშვილი მძიმედ ავადმყოფი ქმარი ლეონიძე წვეს, ცოლი კი გვერდით უზის და წვერილს სწვრს: - მაქრო, რომელია სწორი, „დაკრძალვა“ თუ „დასაფლავება“? - ეჰ, ფულში და სიმდიდრეში არ არის ბედნიერება... ხომ გინახავს - „მდიდრებიც ტირიან“? - მართალია, მაგრამ თუ მაინცა და მაინც სატირალია, მეტროში ტირილს, „მერსედესში“ ტირილი სჯობია! - ლოთი მამა მეხუთე ბოთლს ცვლის: - მამო, შეიძლება, ბოთლები ჩაჯობარო და პური ვიყიდო? - ეკითხება შეილი. - მდიო, შეილიო, მდიო, მე რომ არ გაგყვით, რა გეშველებოდათ? - კაცი სახლში ბრუნდება დამით. გზად სასაფლაოზე მოუწია გაველამ. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, ვიღაც მოსუცი კაცი საფლავის ქვეს ამაგრებს. - უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ? - ჩემს შეილს წლები არასწორად დაუწვრიო და ვასწორებ... - ჩვენთან მხოლოდ პატროსან ხალხს ვიღებთ სამსახურში: პატროსნები ცოტას იპარავენ.

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი იმპერატორ ნაპოლეონს ფარმაკოპედიას, მის დაქირავს რომ სდილობდა. ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებრიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალოებას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეუნანეს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქლენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, (3-ე პატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო. კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48 მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან